დანართი №6



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

(სსიპ - მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ნოდარ ანგურიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრი:

მარი ფალელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	232386272

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	დაბა თიანეთი
ფაქტობრივი მისამართი	დაბა თიანეთი, რუსთაველის ქუჩა, N59
საფოსტო ინდექსი	2500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tianeti1@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	0348291322

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 11 ნოემბრის MES 3 25 0001585732 ბრძანება
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	1 და 2 დეკემბერი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ (შემდგომში საბჭო) 2023 წლის 15 ნოემბერის სხდომაზე სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს (შემდგომში ცენტრი) მიმართა შუამდგომლობით სსიპ - მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლაში 2025 წლის ნოემბრიდან მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით, შესაბამისად ცენტრის დირექტორის 2025 წლის 11 ნოემბრის ბრძანება № 1585732-ის საფუძველზე ზემოაღნიშნულ დაწესებულებაში 2025 წლის 01-02 დეკემბერს განხორციელდა გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტების შეფასების მიზნით. ვიზიტი დაიწყო დღის წესრიგით განსაზღვრულ დროს 10:00.

ვიზიტი ორივე დღეს წარიმართა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში. დღის წესრიგით განსაზღვრული აქტივობები განხორციელდა ისე, როგორც იყო დაგეგმილი. ვიზიტის ბოლოს სკოლის წარმომადგენლებთან ერთად შევაჯამეთ გავლილი ვიზიტი, გავაცანით მიგნებები.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
550	**234**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე. <u>ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებულ იქნა არგუმენტირებული პოზიციის დიდი ნაწილი,</u> ამიტომ, ხარვეზები 3.1.2.4.; 3.4.1.1. და 3.5.1.4 წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმისა და შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში, ხოლო, <u>არგუმენტირებული პოზიციის იმ ნაწილში, რომელშიც სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ შეესაბამებოდა 1.2.2.2. ინდიკატორის მოთხოვნებს, ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის პოზიცია</u> და ეს ინდიკატორი კვლავ დარღვეულად ითვლება. არ გაზიარების საფუძველია ის გარემოება, რომ სკოლამ უნდა წარმოადგინოს გასული (2024/2025) წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების მტკიცებულება, რომელიც სკოლის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად უნდა განხორციელებულიყო სასწავლო წლის ბოლოს და შესაბამისობის გეგმაში გაწერილი მომავალში განსახორციელებელი აქტივობა ვერ იქნება ინდიკატორის მოთხოვნის დადასტურება/დაკმაყოფილება.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N1.2.2.2.	*მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა*	*სკოლამ ვერ/არ წარმოადგინა სამოქმედო გეგმის შესრულების მტკიცებულება მეთოდოლოგიის შესაბამისად (იხ. ინდიკატორის აღწერა).*

	დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან*	*1. სკოლას ეძლევა რეკომენდაცია: წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად და მითითებულ ვადაში მოიპოვოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა იმ შენობა-ნაგებობებზე, რომელშიც (მეორე შენობა) ასევე ხორციელდება სასწავლო პროცესი.*

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	*2. სკოლას ეძლევა რეკომენდაცია: წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად და მითითებულ ვადაში (26.12.2025) შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.*
ინდიკატორი N3.5.1.4.	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია: წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად და მითითებულ ვადაში (2025-2026 სასწავლო წელი) მოაწყოს პანდუსი სპორტული დარბაზის შესასვლელთან, ლიფტი და რესურს ოთახი.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.3.	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ*	*სკოლას ეძლევა რჩევა: მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების ან/და ცვლილებებისთვის პრაქტიკაში განხორციელებული აქტივობები თავსებადი იყოს დამტკიცებულ მეთოდოლოგიაში გაწერილი პროცედურების*
ინდიკატორი N1.1.1.4.	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ*	*სკოლას ეძლევა რჩევა; მოახდინოს შემუშავება/გაზიარების ყოველი აქტივობის დოკუმენტირება.*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		
ინდიკატორი 3.1.2.3.	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით*	*სკოლას ეძლევა რჩევა: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სკოლას საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში მოწვეული ჰყავდეს წარმომადგენელი მასწავლებელთა პროფესიული კავშირის მხრიდან*
ინდიკატორი N3.4.1.2.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*სკოლას ეძლევა რჩევა: სკოლას მუდმივად ჰქონდეს ვაკანსია გამოცხადებული ექიმის პოზიციაზე.*
ინდიკატორი 3.4.1.6.	*სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას*	*სკოლას ეძლევა რჩევა: ინფორმაცია სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შესახებ დადოს სკოლის ვებგვერდზეც.*

ინდიკატორი 3.4.1.8.	*სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის*	*სკოლას ეძლევა რჩევა იზრუნოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურების მიღებაზე.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია და ხედვა შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. კერძოდ, სკოლის მისიაა უზრუნველყოს უსაფრთხო და ინკლუზიურ გარემოში თავისუფალი, დემოკრატიული ღირებულებების მქონე, პატრიოტი, ტოლერანტი, პროფესიონალი მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელიც წვლილს შეიტანს ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაში.
სკოლის ხედვაა სკოლაში შექმნილი თანასწორი, პოზიტიური, საინტერესო, მამოტივირებელი და კონკურენტული გარემო უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ემოციურ კეთილდღეობას და მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების მუდმივ ზრდას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2025-2026 სასწავლო წლიდან, იმის გამო, რომ სკოლაში დაინერგა ინტეგრირებული პროფესიული სასწავლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და პროგრამები“, დღის წესრიგში დადგა სკოლის ფილოსოფიის გადახედვა. ამის შესახებ სკოლას მიმართა კიდეც ამ ახლადდანერგილი პროფესიული პროგრამის ხარისხის მართვის მენეჯერმა, რომელიც სკოლას ახსენებს, რომ „მისიის ხედვისა და ღირებულებების მეთოდოლოგიის მე-11 მუხლის შესაბამისად, დანერგილი პროფესიული პროგრამის გამო, საჭიროა გადაიხედოს სკოლის ფილოსოფიაზე.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისიით და ხედვით აქცენტი გაკეთებულია ისეთ ღირებულებებზე, როგორიცაა უსაფრთხო გარემო, ინკლუზიურობა დემოკრატიული და პროფესიონალი მოქალაქის განვითარება; ფორმალური და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა. მათ შორის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნულით სკოლა განსაზღვრავს საკუთარ თავს.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის“ (შემდგომში „მეთოდოლოგია“) მე-7 მუხლის შესაბამისად, სკოლის დირექტორის ბრძანებით იქმნება სასკოლო საზოგადოებისგან შედგენილი სამუშაო ჯგუფი, რომელის მიზანია სკოლის ფილოსოფიის შემუშავება. იგივე დოკუმენტი აყალიბებს ამ პროცესის განხორციელების ეტაპებს. ანალოგიური ეტაპები უნდა გაიაროს მისიის, ხედვის და ღირებულებების გადახედვამ და ცვლილებების განხორციელებამ. როგორც 1.1.1.1. ინდიკატორში აღინიშნა, სკოლას ფილოსოფიაში ცვლილებების თხოვნით მიმართა პროფესიული პროგრამის ხარისხის მართვის მენეჯერმა და სკოლამ დაიწყო ცვლილების პროცესი. დამადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის 26 ნოემბერის სასკოლო საზოგადოების გაფართოებული თათბირის ოქმი N1, რომელსაც ესწრებოდნენ სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები, სასკოლო საზოგადოების წევრები და მისიის ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიულ დაგეგმარების სამუშაო ჯგუფი. მაგრამ საგულისხმოა, რომ მას შემდეგ, რაც სამუშაო ჯგუფმა განახორციელა გარკვეული საქმიანობები 26 ნოემბრიდან, <u>სკოლამ მხოლოდ ამის შემდეგ - 2 დეკემბერს გამოსცა ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (ბრძანება 1/კ-44,), ანუ მანამდე ჯგუფი იყო არაუფლებამოსილი</u>. **სკოლას ეძლევა რჩევა:** მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების ან/და ცვლილებებისთვის პრაქტიკაში განხორციელებული აქტივობები თავსებადი იყოს დამტკიცებულ მეთოდოლოგიაში გაწერილი პროცედურების.

არგუმენტირებული პოზიციის ცენტრში წარმოდგენილ მასალებს სკოლამ დაურთო ამ ცვლილების განხორციელების პროცესის დამადასტურებელი პედაგოგიური საბჭოსა და სტრატეგიული განვითარების მხარდამჭერი ჯგუფის სხდომის ოქმები (საქაღალდე 5).

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

როგორც წინა ინდიკატორში აღინიშნა, სკოლამ 2025 წლის 26 ნოემბრიდან დაიწყო მისიის ხედვისა და ღირებულებების გადახედვა, და სასკოლო საზოგადოების გაფართოებულმა თათბირმა სამუშაო ჯგუფს დაავალა <u>„წარმოედგინა მისიისა და ხედვის გამარტივებული და დახვეწილი ვარიანტები“</u>. ამ თათბირის შემდეგ, 28 ნოემბერს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე (ოქმი N5, 28.11.2025) უკვე მოხდა ცვლილებების შეტანა მისიაში, ხედვაში, საშუალო საფეხურის მიზნებში და სტრატეგიულ გეგმაში. **მაგრამ რის საფუძველზე მოხდა მისიის და ხედვის საბოლოო გამარტივებული და დახვეწილი ვერსიების ჩამოყალიბება, სასკოლო საზოგადოებისგან უკუკავშირის მიღების დამადასტურებელი მტკიცებულება სკოლას არ წარმოუდგენია**. მართალია

გაფართოებული თათბირით სკოლა ცდილობს სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის მიღებას, რითაც ფორმალურად აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარების ნაწილში, მაგრამ სასურველია სკოლამ შექმნას დოკუმენტაცია/მტკიცებულება სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარების დამადასტურებლად. სკოლას ეძლევა რჩევა; მოახდინოს შემუშავება/გაზიარების ყოველი აქტივობის დოკუმენტირება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე და სკოლის ფოიეში, დიდ ბანერზე. რაც უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის და მის სრულ საჯაროობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სრული სახელწოდებაა სსიპ - მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლა, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის #448 დადგენილებით, რაც სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ ტერმითან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N5, 28.11.2025;
- გაერთიანებული თათბირის ოქმიN1, 26.11.2025;
- პროფესიული პროგრამის ხარისხის მართვის მენეჯერის მიმართვა სკოლის ფილოსოფიის გადახედვის შესახებ;
- სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“, რომელიც აღწერს სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემადგენელ ნაწილებს, განსაზღვრავს ამ დოკუმენტების შემუშავებისა და დამტკიცებისთვის საჭირო ეტაპებს, საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანის პროცესს. დოკუმენტის მე-3 მუხლით განსაზღვრულია ძიროთადი მიდგომები, რომელსაც სკოლა იცავს სტრატეგიული დაგეგმვისას. ეს მიდგომებია: თანამონაწილეობა: სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება; გამჭვირვალობა; ანგარიშვალდებულება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი სტრატეგიული გეგმა შვიწლიანია და მოიცავს 2023-2030 წლებს, ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. მის პრეამბულაში ჩამოყალიბებულია სტრატეგიის მიზანი. კერძოდ დოკუმენტი შექმნილია მისიასა და ხედვაში გაცხადებული მიზნებისა და მისი შესაბამისი ამოცანების გამჭირვალედ შესასრულებლად. დოკუმენტი მოიცავს რამოდენიმე თავს, რომლებშიც აღწერილია დოკუმენტაციის შედგენისა და დახვეწის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლების, რესურსების განახლების, უსაფრთხო გარემოს შექმნის, მშობელთა ჩართულობის გაძლიერების, აღმზრდელობით საკითხში არსებული ბერკეტების გაძლიერების პროცედურები. სკოლის „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის“ მე-8 მუხლის მე-16 პუნქტის მიხედვით სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს ამტკიცებს სკოლის დირექტორი, როგორც ზემოთ აღიწერა, სკოლამ ცვლილება შეიტანა სტრატეგიულ გეგმაში, თუმცა როგორც გადმოგზავნილი დოკუმენტიდან ირკვევა, ჯერ არ არის დამტკიცებული, რადგან დოკუმენტს არ ახლავს ცვლილების შეტანის რეკვიზიტები - ცვლილების დამტკიცების ბრძანება. **სკოლას ეძლევა რჩევა:** დროულად დაამტკიცოს შეცვლილი სტრატეგიული გეგმა.

არგუმენტირებული პოზიციის ცენტრში წარმოდგენილ მასალებს სკოლამ დაურთო ამ ცვლილების განხორციელების ბრძანება N1/კ-47, 03.12.2025 (საქაღალდე 7, 8), საიდანაც ჩანს, რომ სკოლამ ექსპერტთა ვიზიტის მეორე დღესვე დაამტკიცა შეცვლილი სტრატეგიული გეგმა, მანამდე, ვიდრე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტს მიიღებდა, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფის რჩევა ამ შემთხვევაში შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ შემუშავებული, პედსაბჭოს მიერ განხილული და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც შეესაბამება შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას. დოკუმენტის პრეამბულაში გაწერილია რომ სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესი ეფუძნება 21-ე საუკუნის უნარების -სწავლის, წიგნიერების და ცხოვრებისეული უნარების განვითარებას. სამოქმედო გეგმა ჩამოყალიბებულია სამივე მიმართულებით და ეფუძნება ყოველწლიურ თვითშეფასებას. სკოლის „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის“ მე-8 მუხლის მე-16 პუნქტის მიხედვით სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს ამტკიცებს სკოლის დირექტორი, როგორც ზემოთ აღიწერა, სკოლამ ცვლილება შეიტანა სამოქმედო გეგმაში, თუმცა როგორც გადმოგზავნილი დოკუმენტიდან ირკვევა, ჯერ არ

არის დამტკიცებული, რადგან დოკუმენტს არ ახლავს ცვლილების შეტანის რეკვიზიტები - ცვლილების დამტკიცების ბრძანება.
სკოლას ეძლევა რჩევა: დროულად დაამტკიცოს შეცვლილი სამოქმედო გეგმა.
არგუმენტირებული პოზიციის ცენტრში წარმოდგენილ მასალებს სკოლამ დაურთო ამ ცვლილების განხორციელების ბრძანება N1/კ-47, 03.12.2025 (საქაღალდე 7, 8), საიდანაც ჩანს, რომ სკოლამ ექსპერტთა ვიზიტის მეორე დღესვე დაამტკიცა შეცვლილი სამოქმედო გეგმა, მანამდე, ვიდრე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტს მიიღებდა, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფის რჩევა ამ შემთხვევაში შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამ მიზნების შესაბამისი ამოცანების და აქტივობები, ასევე შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები, ჩართული მხარეები, სემსრულებლები და შესაბამისი რესურსები.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული გეგმა;
- სამოქმედო გეგმა;
- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სტრატეგიულ გეგმაში და სამოქმედო გეგმაში ცვლილების შეტანის ბრძანება.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის მე-12 მუხლი მოიცავს მონიტორინგის და შეფასების პროცესს. კერძოდ, სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ: იანვარსა და ივნისში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. ხოლო, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ - მისი განხოცრილების შუაში და ბოლოს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ დამტკიცებული „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის“ მე-12 მუხლის მიხედვით სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი უნდა განხორციელდეს სამი წლის შემდეგ, ეს ვადა ჯერ არ იყო გასული ვიზიტის დროს. რაც შეეხება სამოქმედო გეგმას - სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. ამ მე-12 მუხლით განსაზღვრულია, მონიტორინგის განსახორციელებლად სკოლას აქვს ორი ალტერნატიული გზა. ორივე გზით დადგენილია, რომ მონიტორინგს ახორციელებს სამუშაო ჯგუფი, რომელიც სამოქმედო გეგმის შესაბამისი აქტივობას ანიჭებს სტატუსს: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. ალტერნატიულ გზებს შორის განსხვავება ისაა, რომ პირველ შემთხვევაში სამუშაო ჯგუფი მუშაობს დრაივზე გაზიარებულ საქაღალდეში, მეორე შემთხვევაში სამუშაო ჯგუფი იკრიბება გაფართოებულ სხდომაზე, რაზეც უნდა შედგეს ოქმი. სკოლის წარმომადგენლებმა ვიზიტის დროს განაცხადეს, რომ განახორციელეს სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, თუმცა არც ადგილზე და არც ვიზიტის

შემდგომ რაიმე მტკიცებულება სკოლას არ გამოუგზავნია, გარდა „დირექტორის წლიური ანგარიშისა“, რომელშიც მართალია სკოლაში მიმდინარე პროცესების (ძირითადად SWOT ანალიზს განიხილავს) წლიური ანგარიშია ე.წ. „ნარატიული“ ფორმით, მაგრამ არა სამოქმედო გეგმის აქტივობებზე სტატუსის მინიჭება „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“, ისეთი როგორიც უნდა იყოს სკოლის მეთოდოლოგიის მიხედვით.

ხარვეზი: სკოლამ ვერ/არ წარმოადგინა „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისი სამოქმედო გეგმის მონიტორინგის განხორციელების მტკიცებულება.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ გამოაგზავნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც სკოლას უწერია ამ ხარვეზის გამოსწორების შესახებ „მეტწილობა“ და ხარვეზის გამოსწორების ვადად მითითებულია 3.12.2025-26.12.2025 პერიოდი, ხოლო გამოსწორების მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს „საქაღალდე 1“, რომელიც სკოლამ გადმოაგზავნა კიდეც არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, მაგრამ აღნიშნულ საქაღალდეში არ მოიპოვება დოკუმენტ(ებ)ი, რომელიც 2024/2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს და შეფასებას ასახავდა. მართალია აღნიშნულ საქაღალდეში არის დირექტორის, როგორც პასუხისმგებელი პირის მიერ მხოლოდ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ანგარიში და ისეთი დოკუმენტები, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ივარაუდო, რომ სამოქმედო გეგმის ზოგიერთი აქტივობა განხორციელდა, <u>მაგრამ არ არის გადმოგზავნილი „მეთოდოლოგიის“ შესაბამისი, ინდიკატორის აღწერაში მინიშნებული დოკუმენტები (მაგალითად მონიტორინგის ჯგუფის ოქმი, ან/და სამოქმედო გეგმაში გაკეთებული აღნიშვნა აქტივობების შესახებ: - შესრულდა/ნაწილობრივ შესრულდა/არ შესრულდა). საგულისხმოა, რომ მონიტორინგის ჯგუფი სკოლისგან ითხოვდა 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს განსახორციელებელი ქმედების (სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების) მტკიცებულებას, შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულად ვერ ჩაითვლება</u>

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის ვებგვერდზე არის „ერთწლიანი სამოქმედო გეგმა“ და „შესრულების ანგარიში“, რომელშიც ატვირთულია წინა ინდიკატორში აღწერილი „დირექტორის წლიური ანგარიში“, აქედან გამომდინარე, მართალია ეს დოკუმენტი სრულად არ შეესაბამება, სკოლის მეთოდოლოგიით განსაზღვრულს, მაგრამ ჩანს რომ სკოლა ასაჯაროებს მის ხელთ არსებულ ანგარიშებს, ამიტომ, შეიძლება ჩაითვალოს, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

როგორც წინა ინდიკატორში აღინიშნა, სკოლამ განაცხადა, რომ განახორციელა სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფისთვის უცნობი მიზეზის გამო ვერ მოხედრხდა დოკუმენტაციის მოწოდება, მაგრამ „დირექტორის წლიურ ანგარიშში“ რომელშიც დირექტორი საუბრობს ზოგიერთ გამოწვევაზე, მითითებულია, რომ <u>აღნიშნული პრობლემები საჭიროებს ეტაპობრივ გაუმჯობესებას, რაც გათვალისწინებულია სკოლის განვითარების გეგმაში</u>. აქდან გამომდინარე შეიძლება ჩავთვალოთ, რომ სკოლა შეჯამებას უკეთებს გავლილ გზას და შედეგებ ითვალისწინებს მომავალი დაგეგმვისას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული გეგმის შემუშავების,მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია;
- დირექტორის წლიური ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სსიპ - მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის სტრუქტურა მოიცავს კოლეგიალურ სტრუქტურულ ერთეულებს, თითოეულ მათგანს მნიშვნელოვანი როლი აქვს როგორც ადმინისტრაციული, ისე საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლის სტრუექტურული ერთეულებია: სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო, დირექტორი, დირექტორის მოადგილე, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები. მათი უფლებამოსილება და საქმიანობის არეალი განსაზღვრულია შემდეგი დოკუმენტებით: საქართველოს „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის წესდებით“, სკოლის შრომითი ხელშეკრულებებით. თითეული თანამშრომლის ფუნქციები და მოვალეობები, ასევე მათი უფლებები გაწერილია მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. სტრუქტურულ ერთეულებს მისთვის განსაზღვრული ფუნქციას ასევე აკისრებთ სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები. სკოლამ ასევე წარმოადგინა ,,სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები“ რომელიც დირექტორის ბრძანებით არის დამტკიცებული და მასში ასევე გაწერილია თითოეული სტრუქტურული ერთეულის/პირის ფუნქციები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სსიპ - მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლაში პასუხისმგებლობებისა და ფუნქცია-მოვალეობების ეფექტური განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის წარმატებითა და მოწესრიგებულად წარმართვას. სკოლის ორგანიზაციული კულტურა იმგვარადაა ჩამოყალიბებული, რომ თითოეულ თანამშრომელსა თუ სტრუქტურულ ერთეულს გადანაწილებული აქვს ისეთი ფუნქციები, რომელიც შეესაბამება მის კომპეტენციასა და გამოცდილებას, შესაბამისად ამ

პრინციპით ნაწილდება თუ რომელი თანამშრომელი/სტრუქტურული ერთეული, რომელი მიმართულებით გაუწევს პროცესებს ზედამხედველობას.
სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს როგორც საგანმანათლებლო, ისე ადმინისტრაციულსა და ტექნიკურ რგოლებს. კერძოდ:

- დირექციას - დირექტორი, დირექტორის მოადგილე და ბუღალტერი;
- ადმინისტრაციას - საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერი და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის თანამშრომელი;
- საგანმანათლებლო პერსონალს -კლასის დამრიგებლები და ასევე ყველა საგნის პედაგოგი;
- ტექნიკურ და მომსახურე პერსონალს -სკოლის ექთანი, დარაჯები და დამლაგებლები.

დასაქმებულთა უფლებები და მოვალეობები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებებით და ნაწილობრივ სკოლის შინაგანაწესით. სკოლას თანამშომლების ფუნქცია-მოვალეობები იმგვარად აქვს დალაგებული და დოკუმენტებით დამტკიცებული, რომ თითოეული თანამშრომლისთვის ცხადია მასზე დაკისრებული ფუნქციები და მისი კანონიერი უფლებები.
სკოლაში მოქმედებს კოლეგიური და სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ როგორც სტრატეგიული, ისე ყოველდღიური პროცესების მართვასა და განვითარებაში. მათ შორისაა: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, საგნობრივი კათედრები, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა.
ეს სტრუქტურული ერთეულები პერიოდულად იკრიბებიან სამუშაო შეხვედრებზე. სხდომებზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმებით, რაც უზრუნველყოფს გუნდური მართვის, დოკუმენტური აღრიცხვისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია..

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წესდება;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სკოლის შინაგანაწესი;

- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- კათედრის ოქმი;
- პედსაბჭოს ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- სკოლის დირექტორის ბრძანებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომელიც დამტკიცებულია ამავე დასახელების დოკუმენტში. გარდა ამისა პერსონალის მართვის პროცესი ხორციელდება სკოლის შინაგანაწესის მიხედვით. ასევე სკოლას თანამშრომლების უფლებები და მოვალეობები დეტალურად აქვს გაწერილი შრომით ხელშეკრულებებშიც. სკოლაში პროცესები მიმდინარეობს დაწესებულების მიერ კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად. დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს, ხელშეკრულებასა და სხვა დოკუმენტებს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულებაში შევა რაიმე სახის ცვლილება, სკოლა დაუყოვნებლივ აწვდის ინფორმაციას თანამშრომლებს.

სკოლას თითოეულ თანამშრომელთან გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსსა და სკოლაში მოქმედ შიდა დოკუმენტაციას. ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია სკოლის თანამშრომლები ხელმოწერით ადასტურებენ ამ წესების გაცნობას და დაცვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკის ფორმირებისათვის სკოლის შინაგანაწესში გათვალისწინებულია: სკოლაში მასწავლებლის/ თანამშრომლის მიღებასა და სამსახურებრივ შეთავსებასთან დაკავშირებული რეგულაციები, შიდა და ღია კონკურსის გამოცხადების წესები, კონკურსის ეტაპები, დასაქმებულის პირადი საქმეში წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი, შრომითი ურთიერთობის პირობები, სამუშაო დროის აღრიცხვა, სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება და გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი, დასაქმებულთა ჩაცმულობის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს პირობები, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შრომითი ურთიერთობის შეჩერების გაფორმება, დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა, დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა, დისციპლინური სახდელის დაკისრება/დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე უარის თქმა, გასაჩივრება, დისციპლინური წარმოების სპეციალური წესი, დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა და მოქმედების ვადა.

თანამშრომელთა საჭიროებების რეგულარულად გამოვლენა, სკოლაში ხორციელდება სწავლა-სწავლების პროცესზე დაკვირვებით, კათედრების ურთიერთდასწრებითა და მასწავლებელთა თვითშეფასებითა მიღებული ინფორმაციის საფუძველზე განისაზღვრება პროფესიული განვითარების საჭიროება.

აღსანიშნავია, რომ სკოლა ადამიანური რესურსების მართვის პროცესში იყენებს როგორც პრევენციულ, ისე ინტერვენციულ მიდგომებს. პრევენციული მიდგომის თვალსაზრისით, სკოლა ითვალისწინებს თანამშრომლების ჯანმრთელობის, ოჯახურ მდგომარეობასა დეკრეტულ შვებულებასა და შვებულებებს. უზრუნველყოფს მათ წახალისებას ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და უზრუნველჰყოფს პედაგოგიური დატვირთვის მოქნილ გადანაწილებას. ინტერვენციული მართვის პირობებში, საგნობრივი კათედრის მასწავლებლები ურთიერთჩანაცვლების პრინციპით უზრუნველყოფენ სწავლებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში ადამიანური რესურსების შერჩევის პროცესი პასუხობს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და ეფუძნება ღიაობის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპებს. სკოლაში ახალი თანამშრომლები შერჩევა ხდება კონკურსის გზით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული **„მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ შესაბამისად, გარდა ერთი გამონაკლისისა - ამავე ბრძანების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნის საფუძველზე საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში სკოლას არ ჰყავს მოწვეული მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენელი (სხვა დანარჩენი წარმომადგენლები ჰყავს მოწვეული)**. სკოლას შემუშავებული აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით და მასში აღწერილია თითოეული პოზიციისთვის განკუთვნილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სწორედ ეს არის ერთ-ერთი დოკუმენტი, რომლითაც სკოლა განსაზღვრავს იმ საკონკურსო მოთხოვნებს, რომელსაც წარადგენს ვაკანსიით დაინტერესებული პირებისთვის განკუთვნილ განაცხადში.

სკოლაში გამოცხადებული კონკურსის შესახებ ინფორმაცია ყოველთვის საჯაროდ ქვეყნდება როგორც სკოლის შენობაში, ასევე პლატფორმაზე — teacherjobs.ge,რაც ზრდის ხელმისაწვდომობასა და ღიაობას. დირექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია, მის შემადგენლობაში გათვალისწინებულია სკოლის წარმომადგენლები, ასევე მოწვეული წევრები განათლების სამინისტროდან, რესურსცენტრიდან, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისდან ბრძანებაში განსაზღვრულია კომისიის პასუხისმგებლობები. საბოლოოდ დირექტორი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის შერჩევის შესახებ.

რამდენჯერმე გამოცხადებული ღია კონკურსით ვერ მოხერხდა ექიმის შერჩევა, ამ ეტაპზე სკოლაში დასაქმებული ჰყავთ ექთანი.

სკოლას ეძლევა რჩევა: სასურველია სკოლას საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში ჰყავდეს წარმომადგენელი მასწავლებელთა პროფესიული კავშირის მხრიდან.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ გამოაგზავნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც სკოლას ამ რჩევის გათვალისწინების შესახებ უწერია ,,მეტწილობა“, სკოლას განსაზღვრული აქვს, რომ სამომავლოდ კომისიის შემადგენლობაში ეყოლება გათვალისწინებული წარმომადგენელი პროფესიული კავშირების მხრიდან. შესაბამისი თარიღის ველში კი მითითებული აქვს 26.12.2025

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლას ჰყავს 24 მასწავლებელი, ყველა მათგანს აქვს შესაბამისი სტატუსი. სკოლას ასევე საშტატო ნუსხით ჰყავს დირქტორი, 1 დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, 1 ექთანი, 1 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, 2 დარაჯი, 3 დამლაგებელი, 1 ცეცხლფარეში. სკოლას ფიზიკის მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა აქვს 12 საათი, რაც არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. მასწავლებელთა პირად საქმეებში ჩანს, რომ მათ გავლილი აქვთ სახვადასხვა სახის პროფესიული გადამზადების ტრენინგები და ყველა დასაქმებულ პირს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია. სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში ,,თანამდებობრივი ინსტრუქციები" სკოლას გაწერილი აქვს სკოლაში არსებული თანამდებობებისთვის საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც ხელს უწყობს კადრების შერჩევის გამჭირვალობასა და ობიექტურობას.

ადგილზე ვიზიტისას სკოლამ წარმოაფდგინა ყველა დასაქმებულის პირადი საქმე, დათვალიერების შედეგად კი დადგინდა, რომ სკოლის ყველა თანამშრომელი აკმაყოფილებს შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ვიზიტისას ასევე გავეცანით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებულ მონაცემებს, რის შედეგადაც შეიძლება ითქვას, რომ შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია ყველა მასწავლებელთან შესაბამისი სტატუსების დაცვით ხელშეკრულებები გაფორმებულია მოქმედი ნორმატიული აქტებითა და შრომის კოდექსით განსაზღვრულ ყველა სავალდებულო პუნქტს მოიცავს . სკოლის თითოეული თანამშრომლის კვალიფიკაცია შეესაბამება ამ ეტაპზე დაკავებულ პოზიციას. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა თანამშრომლების დასაქმებისა და მათთან მუშაობის პროცესში მნიშვნელოვნად ითვალისწინებს შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ხარვეზი: სკოლას ჰყავს მოწვეული ფიზიკის მასწავლებელი, რომლის საათობრივი დატვირთვა არ შეესაბამება კანონმდებლობას (ზოგადი განათლების კანონის მე-2 მუხლის ღ[9]) ქვეპუნქტი. მოწვეული მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა სკოლაში არის 12 საათი, რაც აღემატება მასწავლებლის სრული საათობრივი დატვირთვის 50%-ს

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ გამოაგზავნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც სკოლას უწერია, რომ სკოლაში ფიზიკის მასწავლებლის პოზიციაზე დასაქმებულია უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე პედაგოგი და მტკიცებულებად წარმოადგინა მასწავლებელთან გაფოორმებული ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებს, რომ ფიზიკის პედაგოგი სკოლას ამ ეტაპზე ჰყავს და მისი კვალიფიკაცია შესაბამისია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში ჩამოყალიბებულია თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებზე დაფუძნებული გარემო, რაც ხელს უწყობს სკოლის თანამშრომლების პროფესიულ ზრდასა და საგანმანათლებლო პროცესის წარმატებით განხორციელებას. სკოლაში სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის აზრი მიღებული და გათვალისწინებულია. პროფესიულ საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა განვითარდეს, მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები და აიღოს პასუხისმგებლობა თავისივე გადაწყვეტილებებზე. განსაკუთრებით შესამჩნევია, რომ მასწავლებლები მუდმივად მხარდამჭერები არიან ერთმანეთსთვის. კეთილგანწყობილი და მხარდაჭერაზე არიან ორიენტირებულები, იმ პედაგოგებთან, რომლებიც ახლა შეუერთდნენ გუნდს, რაც ხელს უწყობს მათ სწრაფად ადაპტაციას და პროფესიულ ინტეგრაციას. სკოლის დირექცია მასწავლებელთა საქმიანობაში მხოლოდ სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე ან მასწავლებლის სურვილით ერთვება, ეს ცართულობა, ყოველთვის ატარებს მხარდაჭერის ხასიათს. გარდა სკოლაში ასევე არსებობს ანგარიშვალდებულების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს სკოლის მიერ შემუშავებული სამოქმედო და სტრატეგიული გეგმებით გათვალისწინებული ამოცანების მიზნობრივ შესრულებას.

სკოლაში თანამშრომელთა ურთიერთობები და ზოგადად სამუშაო ატმოსფერო პოზიტიურია, რაც ეფუძნება ერთმანეთის პატივისცემას, ნდობასა და საერთო მიზნების გარშემო გაერთიანებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლაში სკოლაში ხშირად ხდება წარმატებული თანამშრომლის მხრიდან გამოცდილების გაზიარება სასკოლო საზოგადოების დანარჩენ წევრებთან. მსგავსი ხასიათის შეხვედრები სკოლაში პერიოდულად ტარდება და თანამშრომლების წახალისებასა და ახალი გამოცდილების გაზიარებას ემსახურება.

სკოლის შინაგანაწესში ასევე გათვალისწინებულია თანამშრომლის წახალისების სახეები. ყოველივე ეს ემსახურება თანამშრომლების მოტივაციის ამაღლებას. მუშაობაში მოპოვებული წარმატებისათვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე დიდი მოცულობის,

განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის,

სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

- მადლობის გამოცხადება;
- სიგელით დაჯილდოება;
- ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა

დირექტორის მოადგილე/შესაბამისი საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საბჭო/სამეურვეო საბჭო/მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს სკოლის დირექტორს დასაქმებულის წახალისების თხოვნით, გარდა დღესასწაულებთან დაკავშირებით წახალისების ფორმის გამოყენებისა. მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის ინტერვიუირებით დასტურდება, რომ სკოლაში აღიარებული და გაზიარებულია მასწავლებელთა საუკეთესო გამოცდილებები. სასკოლო პროექტებში აქტიური მონაწილეობა, რეგიონულ და რესპუბლიკურ კონფერენცია/კონკურსებში მონაწილეობა წახალისებულია სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან ბრძანებით გამოცხადებული მადლობით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანება;
- საკონკურსო კომისიის ოქმები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- პრემიის გაცემის ბრძანებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლაში პერსონალის შეფასებისა და განვითარებიის საჭიროებათა დადგენისთვის სკოლა იყენებს სხვადასხვა მექანიზმს, ეს მექანიზმები იკვეთება ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის დებულებაში, კათედრის ოქმებში, ასევე დირექტორისა და მისი მოადგილის ანგარიშებში. მაგალითად სკოლა აქტიურად იყენებს ურთიერთდასწრების პრაქტიკას, პედაგოგები ურთიერთდასწრების საფუძველზე უბრუნებენ ერთმანეთს უკუკავშირს და ამ პროცესში ვლინდება ის საჭიროებები, რომელიც ამ ეტაპზე აქვს სკოლის თანამშრომელს. რა თქმა უნდა, სკოლას აქვს წინასწარ შედგენილი და ჩამოყალიბებული ის შეფასების ფორმები, რომლითაც ხელმძღვანელობს ამ პროცესს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე ეტაპობრივად ზრუნავს თანამშრომლების გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ამის დასტური ჩანს თანამშრომელთა პირად საქმეებში, სადაც არის

წარმოდგენილი სხვადასხვა სახის სერტიფიკატები, რომელიც ადასტურებს სკოლაში დასაქმებული პირების მონაწილეობას სხვადასხვა ტრენინგსა თუ პროექტში.
სკოლა მუდმივად ცდილობს იყოს მხარდამჭერი ყველა იმ ინიციატივისა თუ იდეის განხორციელებაში, რომელიც ხელს უწყობს კადრების განვითარებასა და პროფესიულ ზრდას. ძირითად შემთხვევებში ტრენინგები და პროექტები, რომელშიც სკოლაში დასაქმებული პირები მონაწილეობენ ემთხვევა სწორედ იმ საჭიროებებს, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესში გამოვლინდა და შემდგომში აისახება ამ პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაში.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა მაქსიმალურად უწყობს ხელს თანამშრომლების პროფესიულ განვითარებას მისივე შემუშავებული მექანიზმების საშუალებით, მაგალითად როგორიცაა საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების წახალისება გუნდში. სკოლაში შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი პერიოდულად აწყობს შეხვედრებს, სადაც განიხილავენ ამ ეტაპზე არსებულ გამოწვევებსა და საჭიროებებს, სწორედ ამის შემდეგ სკოლა განსაზღვრავს გასაუმჯობესებელ მიმართულებებს და გეგმავს პროფესიულ განვითარებას, სკოლაში პერიოდულად იმართება მასწავლებელთა და საგნობრივი კათედრების შეხვედრები, მსგავსი ხასიათის შეხვედრებზე პედაგოგები ერთმანეთ უზიარებენ გამოცდილებას, ასევე აქტიურად განიხილავენ სხვადასხვა საკითხებს და ერთობლივად გეგმავენ საჭირო აქტივობებს
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის ინფორმირებას სკოლის წესებისა და შინაგანაწესის, სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ. ახალი თანამშრომელი ასევე ეცნობა მისი კათედრის მუშაობის სტილს, ასევე აქტიურად არის ჩართული საგაკვეთილო პროცესის დაკვირვებაში. და ასევე აქტიურად ერთვება სასკოლო ცხოვრებაში, როგორიცაა სკოლის მიერ განხორციელებული პროექტები და ღონისძიებები. მას დასაწყისშივე დეტალურად განემარტება შრომითი ხელშეკრულების პირობები, ფუნქცია-მოვალეობები, ანაზღაურების წესი და სხვა ადმინისტრაციული საკითხები. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა აწვდის ინფორმაციას თანამშრომელს გამოსაცდელი ვადის შესახებ. აღნიშნული პროცესი

მნიშვნელოვანია თანამშრომლის მოტივაციისა და ადაპტაციის ხელშესაწყობად და ქმნის მყარ საფუძველს პროფესიული ზრდისა და სასკოლო საზოგადოებაში სრულფასოვანი ჩართვისათვის.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლაში ხშირად წახალისებულია მასწავლებელთა მხრიდან წამოსული ინიციატივები, რომელიც ძირითადად მოიცავს შემოქმედებით აქტივობებს. სკოლის დირექცია მუდმივად მხარს უჭერს თანამშრომლების მიერ წამოწყებულ ინიციატივებს, როგორებიცაა: ინტეგრირებული გაკვეთილები, სხვადასხვა მიმართულების პროექტები, სამუშაო შეხვედრები და სხვა. ეს ყველაფერი კი ხელს უწყობს თანამშრომლობითი გარემოს შექმნასა და ინოვაციური სასკოლო გარემოს განვითარებას. სკოლაში დასაქმებული პირების წახალისება ხდება სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული პრინციპების დაცვით. აღსანიშნავია, რომ წახალისების ფორმები და გამოყენების წესი წინასწარ განსაზღვრულია და ეს პროცესი მიმდინარეობს ობიექტურობის პრინციპის დაცვით. . გადაწყვეტილება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმით მიიღება, საფუძველს კი წარმოადგენს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის საგნობრივი კათედრის, პედაგოგიური საბჭოს ან მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის სამსახურეობრივი ბარათი.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პირად საქმეებში წარმოდგენილი სერტიფიკატები;
- გაკვეთილზე დასწრების ოქმები;
- მასწავლებელთა რეფლექსიები;
- განმავითარებელი უკუკავშირი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლამ საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის შეიმუშავა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ძირითადი დოკუმენტები, აღნიშნული დოკუმენტების მთავარი მიზანი სწორედ სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვა და წარმართვაა, ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით ხდება ასევე დაგეგმილი სასწავლო პროცესის მხარდაჭერა და მასთან დაკავშირებული შეფასებების წარმოება. ამ შეფასებებს კი სკოლა შემდგომში სწორედ საგანმანათლებლო პროცესის გასაუმჯობესებლად იყენებს. სკოლა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში ასახავს ციკლურ მიდგომას: დაგეგმვა – განახორციელება – შეაფასება – განვითარება, ყოველივე ეს კი უზრუნველყოფს სკოლაში მიმდინარე პროცესების უწყვეტ განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლაში მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის მიერ შემუშავებულ სხვადასხვა დოკუმენტში, მაგალითად, დასაქმებული პირების შრომით ხელშეკრულებებში, ასევე სკოლის შინაგანაწესში. პროცესების აღწერა ეფუძნება ზოგადი განათლების სფეროში მოქმედ კანონმდებლობასა და რეგულაციებს, ისევე როგორც სკოლაში მოქმედ შიდა სამართლებრივ წესებს, და ამ წესების ირგვლივ შემუშავებულ დოკუმენტებს. აქედან გამომდინარე, სკოლაში უზრუნველყოფილია სტრუქტურული ერთეულების ფუნქციური დანაწილება და მკაფიოდაა განსაზღვრული თითოეული მათგანის პასუხისმგებლობები. ამ მიმართულებით, სკოლას აქვს შექმნილი თანამდებობრივი ინსტრუქციები, სადაც ასევე გაწერილია თითოეული რგოლის ფუნქციები და საგანმანათლებლო პროცესში, მათი ჩართულობის მიმართულებები.

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სკოლაში მმართველობითი პროცესები მიმართულია მოსწავლის ინტერესების დაცვასა და მხარდამჭერი, უსაფრთხო, თანასწორი, სასწავლო გარემოს შექმნისკენ.

სკოლაში მიმდინარე ძირითადი და დამხმარე პროცესები ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას და მასში გათვალისწინებულია როგორც სავალდებულო, აკადემიური, ასევე არაფორმალური განათლების კომპონენტების ინტეგრირება სასკოლო ცხოვრებაში. არაფორმალური განათლების მიმართულებითაც სკოლა ახორციელებს სხვადასხვა პროექტებსა და აქტივობებს. გასაუბრებისას აღინიშნა სკოლის მხრიდან, რომ სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარე სწორედ არაფორმალური განათლებაა.

სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში ძალიან აქტიურად გეგმავს არაფორმალური განათლების ხელშეწყობას, მაგალითად, ხშირად იგეგმება და ხორციელდება სასკოლო ღონისძიებები, შემოქმედებითი პროექტები და სხვადასხვა აქტივობები. ყოველივე ეს ემსახურება ეროვნული ღირებულებების პოპულარიზაციასა და მოსწავლეთა უნარების განვითარებას. ამ მიზნების მისაღწევად სკოლას შემუშავებული აქვს სადამრიგებლო პროგრამები, საგნობრივი კურიკულუმები და სასკოლო პროექტები.

სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომელშიც გაწერილია თითოეული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობები მათ შორის კათედრების, სადამრიგებლო საქმიანობის, უსაფრთხოების წესების, ასევე ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები. რაც ადასტურებს იმას, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს თითოეული რგოლისა თუ პიროვნების როლი და პასუხისმგებლობები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლაში არსებობს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მყოფი პროცედურები განცხადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ. კერძოდ, დამტკიცებული აქვს დოკუმენტი „სკოლაში შემოსული განცხადებებისა და საჩივრის პროცედურა“ (N1/კ-31, 22.09.2023). გარდა ამისა სკოლას თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების ან მათი კანონიერ წარმომადგენლების მიერ ნებისმიერი ტიპის გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი გაწერილი აქვს ასევე სკოლის შინაგანაწესში.

სკოლა წარმოდგენილ განცხადებას/საჩივარს, განიხილავს კანონით დადგენილ ვადებში და კონკრეტული შედეგის შესახებ განმცხადებელს აწვდის ინფორმაციას. სკოლის დირექტორის მიერ გამოცემულ ყველა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს თან ერთვის გასაჩივრების შესაძლებლობის ჩანაწერი. კერძოდ, აღნიშნულია, რომ დირექტორის ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის ვადაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლაში პერსონალისა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენლების კანონიერი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად არსებობს შესაბამისი მექანიზმები. სკოლას დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც ასახულია სკოლაში დასაქმებულებისა და მშობლების/კანონიერ წარმომადგენლების უფლებები და მოვალეობები. შინაგანაწესი წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულებების განუყოფელ ნაწილს. სკოლაში დასაქმებული პირი ან მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით ადასტურებს დოკუმენტების გაცნობას. სკოლა უზრუნველყოფს უფლებრივ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას სამეურვეო საბჭოს, დისციპლინური კომიტეტისა და სკოლის ექიმის ფუნქციონირების საშუალებით. თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი, სწორედ დამრიგებლის შუამდგომლობითა და ჩართულობით ხდება სკოლაში მოსწავლეთა პრობლემებისა და საჭიროებების დროული იდენტიფიცირება და მასზე რეაგირება. აღსანიშნავია, რომ სკოლის შინაგანაწესი საჯაროდ არის ხელმისაწვდომი ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს სრულყოფილ ინფორმაციაზე წვდომას სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. როგორც სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებისას დადგინდა,

შინაგანაწესის შემუშავების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოებაც, რაც მიუთითებს, რომ ის მაქსიმალურადაა მორგებული სასკოლო საზოგადოების საჭიროებებსა და ინტერესებზე. სკოლამ ასევე წარმოადგინა პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი და განმარტებული სასკოლო საზოგადოების წევრების უფლებები და ვალდებულებები. დოკუმენტი გამოქვეყნებულია სკოლის ვებ გვერდზეც, რაც ხაზს უსვამს მის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- სკოლის სტრუქტურა;
- „სკოლაში შემოსული განცხადებებისა და საჩივრის პროცედურა“;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი;
- სკოლის მასწავლებელთა ხელშეკრულებები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლაში არსებობს სიახლეებისა და სხვადასხვა ტიპის ინფორმაცის გაზიარებისა და უკუკავშირის მიღების მრავალფეროვანი პრაქტიკა. სკოლა ინფორმაციას ძირითადად სხვადასხვა ონლაინ არხებით უზიარებს სასკოლო საზოგადოების წევრებს, რაც მშობლებს, მოსწავლეებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევს მიიღონ დროული და დეტალური ინფორმაცია.

სასკოლო საზოგადოების წევრებს შეუძლიათ სოციალურ ქსელებში საკუთარი მოსაზრების დაფიქსირება და უკუკავშირის გადაცემა სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, რაც ხელს უწყობს ეფექტურ კომუნიკაციას სკოლასა და სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს შორის.

კლასის დამრიგებლებს აქვთ და აქტიურად იყენებენ დახურულ ჯგუფებს Messenger-ის საშუალებით, სადაც ,აქსიმალურად ოპერატიულად და დროულად ხდება მშობლების ინფორმირება სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით და უკუკავშირის მიღება მათი მხირდან. გარდა ამისა, სკოლაში პერიოდულად ტარდება შეხვედრები როგორც მოსწავლეებთან, ასევე მათ მშობლებთან, რაც უზრუნველყოფს მათი მხრიდან საჭიროებებისა და აქტუალური საკითხების გაცნობას.

იგივე პრინციპით შექმნილია და დანერგილი ისეთი ჯგუფები, სადაც გაწევრიანებულნი არიან სკოლაში დასაქმებული პირები, მათთანაც დირექციის მხრიდან ხდება სხვადასხვა ინდოემაციის გაზიარება და უკუკავშირის მიღება.

სკოლა საჭიროების შემთხვევაში, იყენებს Microsoft Teams პლატფორმასაც, სადაც შექმნილია სხვადასხვა ჯგუფები სტრუქტურულ ერთეულებსა და კოლეგიალურ ორგანოებს შორის კომუნიკაციისა და დოკუმენტაციის გასავრცელებლად,

სკოლაში ვიზიტის დროს, მშობლებთან გასაუბრების პროცესშიც გამოიკვეთა, რომ სკოლა დროულ და ეფექტურ კომუნიკაციას ამყარებს სასკოლო საზოგადოების წევრებთან. რაც თავის მხრივ ქმნის თანამშრომლობით გარემოს და დადებითად აისახება სასწავლო პროცესის განხორციელების ხარისხზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობით განსაზღვრული კოლეგიალური ორგანოები, როგორებიცაა სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა და მრჩეველთა საბჭო. ამ სტრუქტურებში გაწევრიანებულები არიან მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობას სკოლის მართვის პროცესებში.

სკოლაში მოქმედი კოლეგიური ორგანოები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სკოლის სტრატეგიული მიზნების დასახვასა და მათ მისაღწევაში. სამოქმედო გეგმის განხორციელებასა და იმ აქტუალური მიმართულებების ჩამოყალიბებაში, რომელსაც

სკოლა განსაზღვრავს საჭიროებებზე დაყრდნობით. თითოეული კოლეგიალური ორგანოს ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ზრდის პროცესების გამჭვირვალობას და გადაწყვეტილებების ეფექტიანობას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წესდება;
- სკოლის დირექტორის ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი
- სკოლის მოსწავლეთა თვითმართველობის საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმი (საბაზო და საშუალო საფეხურის ოქმები);
- სკოლის მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- სკოლის კოლეგიური სტრუქტურული ერთეულების დებულებები და მათი შეხვედრების ოქმები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სსიპ - მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლაში უსაფრთხოების დაცვის პროცედურები და მექანიზმები მკაფიოდ განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. უსაფრთხოების პოლიტიკა ეფუძნება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონსა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ წესებს, რაც უზრუნველყოფს როგორც ფიზიკურ უსაფრთხოებას, ისე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას სასწავლო გარემოში.

სკოლა მთლიანად არის შემოღობილი, ვიზიტის დროს წარმოადგინა მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მხოლოდ პირველ შენობასთან მიმართები (**მეორე შენობაზე სახანძრო უსაფრთხოების შესახებ მიწერილობა სკოლას არ აქვს**), სკოლამ ასევე წარმოადგინა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების სამსახურთან, რომლის ფარგლებშიც მიიღებს საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან, კანონიერებასა და წესრიგთან დაკავშირებული მომსახურებებს (CPV75240000). **ამ ეტაპზე, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა არ არის შეთანხმებული შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.**

სკოლა რეაბილიტირებულია ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ და აქვს რეაბილიტაციის პროცესის ამსახველი წიგნი, სადაც წარმოდგენილია წყალგაყვანილობის, გათბობის სისტემებისა და ელექტროგაყვანილობების აღწერა. აღწერილია ასევე შენობის სრული მახასიათებლები. სკოლას აქვს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ

2023 წელს გაცემული დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ, სადაც წერია, რომ შენობა უსაფრთხოა ექსპლუატაციისთვის. თუმცა ეს დასკვნა ეხება მხოლოდ იმ ერთ ძირითად, მთავარ შენობას, რომელშიც მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი, სკოლის ეზოში, გარდა ამ ძირითადი ნაგებობისა, არსებობს მეორე სამსართულიანი შენობა რომლის მხოლოდ პირველი სართული ათვისებული აქვს სკოლას და მასში განთავსებულია სპორტული დარბაზი, ასევე სააქტო დარბაზი და ბუფეტი, ასევე ინტეგრირებული პროფესიული პროგრამა. ამ შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ **სკოლას არ აქვს ექსპერტიზის დასკვნა, თუმცა აქვს მიწერილობა შესაბამის სამსახურთან, რომლის მიხედვითაც ითხოვს ექსპერტიზას.**

სკოლაში ტექნიკური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს უსაფრთხო და მშვიდი გარემოს შექმნაში , რომელიც მოიცავს შენობისა და ინვენტარის მდგომარეობის რეგულარულ შეფასებას და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლას ჰყავს ორი მანდატური, ასევე 2 დარაჯი და არსებობს მორიგე მასწავლებლების ცხრილი, რომლის მიხედვითაც გადანაწილებულია განრიგი, რომელ დღეს, რომელი მასწავლებელია პასუხისმგებელი ამ მიმართულებით. სკოლის შენობაში უცხო პირთა გადაადგილება კონტროლდება ასევე მანდატურების მიერ. საგაკვეთილო პროცესისას უცხო პირების გადაადგილება იკრძალება, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.

ყველა კლასის დამრიგებელი, დეტალურად აღრიცხავს მოსწავლეთა დასწრების მაჩვენებელს და საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის გაკვეთილზე არდასწრების შემთხვევაში, თავად დამრიგებელი აწვდის ინფორმაციას სკოლის დირექციას.

ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სკოლაში არსებობს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N41/ნ/01-23/ნ შესაბამისად. ვიზიტის დროს კაბინეტის დათვალიერებითა და ექთანთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა შეესაბამება აღნიშნულ ბრძანებასა და სტანდარტებს. ასევე შესაბამისობაშია სამუშაო პროცედურები. სკოლას არ ყავს ექიმი, რამდენიმე მცდელობის შედეგად, ვაკანსიაზე არ შემოსულა ექიმის კვალიფიკაციის მქონე პირის განაცხადი, შესაბამისად, ამ ეტაპზე სკოლას ჰყავს ექთანი. სკოლას 2023 წლის მარტამდე ჰყავდა ექიმი, თუმცა, მან პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა დაკავებული თანამდებობა. მას შემდეგ სკოლამ ორჯერ გამოაცხადა ვაკანსია, გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა მხოლოდ მედდის კვალიფიკაციის მქონდე პირი.. სკოლამ მიმართა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრობის სამინისტროს წერილობით, რის საფუძველზეც მიიღო ნებართვა, რომ დროებით შეეძლო დაესაქმებინა ექთანი. მას შემდეგ სკოლას ჰქონდა რამდენიმე მცდელობა, თუმცა ექიმის კვალიფიკაციის მქონე პირის განცხადება არ შესულა. ბოლო პერიოდში სკოლას არარ გამოუცხადებია ვაკანსია და მიზეზად ასახელებს, რომ ამ მიმართულებით არის კადრების დეფიციტი.

ხარვეზი1: სკოლას არ აქვს წარმოდგენილი შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა იმ შენობა-ნაგებობებზე, რომელშიც (მეორე შენობა) ასევე ხორციელდება სასწავლო პროცესი.

ხარვეზი2: საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა არ არის შეთანხმებული შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

ხარვეზი3: სკოლა არ აქვს სახანძრო უსაფრთხოების შესახებ მიწერილობა მეორე შენობაზე

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ გამოაგზავნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც სკოლას ამ ხარვეზის გამოსწორების შესახებ აღნიშნული აქვს „მეტწილობა“ და განსაზღვრული აქვს ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით ამ ეტაპზე განხორციელებული აქტივობები, კერძოდ:

1. სკოლამ უკვე მიმართა ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს იმ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მისაღებად, რომელსაც ამ ეტაპზე არ აქვს შესაბამისი დასკვნა (იგულისხმება, სკოლის ტერიტორიაზე არსებული მეორე შენობა) სადაც ასევე ხორციელდება სასწავლო პროცესი (MES 2 25 0001719129, 03.12.2025 წ) სკოლას შესაბამისი მიწერილობები წარმოდგენილი აქვს დოკუმენტებში (საქაღალდე N3). აღნიშნული აქტივობის შესრულების თარიღად განსაზღვრულია 26.12.2025, რის გამოც <u>ხარვეზი1 გადადის მეტწილ შესაბამისობაში.</u>

2. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შესათანხმებლად გაგზავნილია შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (MES 7 25 0001796912, 17.12.2025). (საქაღალდე N3). აღნიშნული აქტივობის შესრულების თარიღად განსაზღვრულია 26.12.2025, რის გამოც <u>ხარვეზი2 გადადის მეტწილ შესაბამისობაში</u>

3. მეორე კორპუსის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ მიწერილობა გაგზავნილია შესაბამის სამსახურთან (MES 8 25 0001725542, 04.12. 2025 წ.), რის შედეგადაც <u>ხარვეზი3 შეიძლება ჩაითვალოს გამოსწორებულად</u>

ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, სკოლამ წარმოადგინა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი დოკუმენტის სახით, სადაც აღწერილია გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ ინფორმაცია, პასუხისმგებელი პირი, მისი კომპეტენცია და სხვა. სკოლაში გამოყოფილია შესაბამისი სივრცე (ექიმის კაბინეტი) რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და მედიკამენტებით. კაბინეტი ფუნქციონირებს „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა“ და „სამედიცინო მომსახურების სივრცის

ფუნქციონირების წესის“ მოთხოვნებთან შესაბამისობაში. მედიკამენტები ინახება დაცულ გარემოში, სპეციალურ კარადაში, რომელზეც წვდომა აქვს მხოლოდ ექთანს. მედიკამენტების ვადები და რაოდენობა, ასევე მისი გაცემა მკაცრად კონტროლდება — მედიკამენტების მიღება-გაცემა ფიქსირდება შესაბამის ჟურნალში.სკოლას აქვს დირექტორის მიერ დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, რომელიც მოიცავს სკოლის ტერიტორიაზე მოქმედ პირველადი დახმარების პროტოკოლს. აღნიშნული პროტოკოლი უზრუნველყოფს საჭირო შემთხვევებში სწრაფ და ეფექტურ რეაგირებას და ხელს უწყობს მოსწავლეთა და პერსონალის ჯანმრთელობის დაცვას.

სკოლას ეძლევა რჩევა: სასურველია სკოლას მუდმივად ჰქონდეს ვაკანსია გამოცხადებული ექიმის პოზიციაზე.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ გამოაგზავნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც სკოლას რჩევის გათვალისწინების შესახებ აღნიშნული აქვს „მეტწილობა“ და გამოცხადებული ჰქონდა ექიმის ვაკანსია და ეცდება შესაბამისი კადრის მოზიდვას. გამოცხადებული ვაკანსიის შესახებ მტკიცებულება სკოლას გამოგზავნილი აქვს (საქაღალდე N10)

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა ყოველდღიურად ცდილობს უზრუნველყოს ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება სკოლის ტერიტორიაზე. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ 2019 წლის 29 იანვრის მინისტრის N06/ნ ბრძანებით. აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით სკოლაში შეიქმნა მრჩეველთა საბჭო და სწორედ საბჭოს აქტიური ჩართულობით ხდება მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების დაცვა, ასევე, სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და წესრიგის განმტკიცება, ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად დაცული გარემოს შექმნა და განვითარება. სკოლის უსაფრთხოების მექანიზმები მოიცავს როგორც ადამიანური რესურსის მობილიზებას, ისე ინფრასტრუქტურული მიმართულებით სრულყოფას. საგანამანათლებლო პროცესის მიმდინარეობისას, სკოლის ტერიტორიაზე აქტიურად მუშაობენ მანდატურები, მორიგე მასწავლებლები და სკოლის დარაჯი, მათთან ერთად ზედამხედველობის პროცესში აქტიურად არიან ჩართულები სკოლის დირექციის წევრები. სკოლის ტერიტორია შემოღობილია და ეზოს აქვს ძირითადი გასასვლელი კარი, რომელიც ასევე კონტროლდება.

სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა შესვლა, მკაცრად კონტროლდება მანდატურტა მიერ. პროცესებში აქტიურად არის ჩართული სკოლის დარაჯიც.
უსაფრთხოების კუთხით ცნობიერების ასამაღლებლად სკოლაში მიმდინარეობს საინფორმაციო ხასიათის აქტივობები, როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მშობლებისთვის. ამგვარი აქტივობების შინაარსი ეხება ბულინგისა და კიბერბულინგის პრევენციას. ექთნის აქტიური ჩართულობით ხორციელდება შეხვედრები ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით.
დამრიგებლები ყოველდღიურად აღრიცხავენ მოსწავლეთა გაცდენებს და საჭიროების შემთხვევაში, დირექტორს წარადგენენ შესაბამის ცნობებს. სკოლაში ჩამოყალიბებულია უსაფრთხოების კულტურა, რაც ეფუძნება როგორც პრევენციულ ღონისძიებებს, ისე რეაგირების ეფექტიან მექანიზმებს, ამასთანავე გათვალისწინებულია ყველა იმ პირის ჩართულობა, ვინც პასუხისმგებელია სასკოლო საზოგადოების წევრებისა და მეტწილად მოსწავლეების უსაფრთხოებასა და მათი უფლებების დაცვაზე.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად სპეციალური პირობები განსაზღვრულია როგორც სკოლის შიდა დოკუმენტების – შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილისა და სადამრიგებლო პროგრამის, ასევე მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების მოთხოვნების მიხედვით. სკოლას შემუშავებული აქვს მიდგომები, რომლებიც თითოეული მოსწავლისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას უწყობს ხელს. აძლევს თავისუფალი აზრის, თვითგამოხატვასა და რეალიზების საშუალებას.
სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული არიან უფლებამოსილი პირები, რომლებსაც აკისრიათ პასუხისმგებლობა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცესის განხორციელებაზე. სკოლის მიერ დამტკიცებული რეფერირების მექანიზმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სკოლაში ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს შექმნისა და განვითარების პროცესში..
აღსანიშნავია, რომ სკოლაში აქტიურია სადამრიგებლო მიმართულების შეხვედრები და ამ კუთხით ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობაა, რაც თავის მხრივ არის ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნის პროცესში, ასევე ეხმარება მოსწავლეებს ემოციური ინტელექტის ცამოყალიბებასა და განვითარებაში. სკოლაში კლასის დამრიგებლები, სადამრიგებლო საათის ფარგლებში, მოსწავლეებ აძლევენ საშუალებას, ისაუბრონ საკუთარ ან სხვათა მიღწევებზე, გამოწვევებზე, იმ საკითხებზე, რომელიც მათთვის საინტერესო და აქტუალურია, ასეთი მიდგომით, სკოლა ცდილობს მაქსიმალურად მეგობრული და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას მოსწავლეებისთვის.

სკოლისთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა. ამ ეტაპზე, სკოლაში სწავლობს 4 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, რომელთა სწავლის პროცესში სხვადასხვა საგნის მასწავლებლებისა და დამრიგებლის გარდა ჩართული არიან შესაბამისი სპეციალისტები მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი. თითოეული მათგანი უზრუნველყოფს მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებასა და დაკმაყოფილებას, მათთვის ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. სკოლა მაქსიმალურად ცდილობს თითოეული მათგანისთვის შექმნას გარემო, რომელიც დაეხმარება და უზრუნველჰყოფს მათ სრულფასოვან ინტეგრაციას სასკოლო ცხოვრებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა ხორციელდება სრულ შესაბამისობაშია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №308/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვისა და სამუშაო რეჟიმის სანიტარიული წესებსა და ნორმებთან“. სკოლამ წარმოადგინა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია სანიტარულ-ჰიგიენურ საკითხებზე პასუხისმგებელი პირები, ისინი ყოველდღიურად ახორციელებენ დასუფთავებას და ჰიგიენური პირობების შემოწმებასა და კონტროლს.

სკოლა უზრუნველყოფილია ცალკე სველი წერტილებით გოგონებისათვის და ვაჟებისათვის, ასევე მასწავლებლებისთვის. სკოლას აქვს სრულად ადაპტირებული სველი წერტილი. უზრუნველყოფილია ინკლუზიური გარემოს პრინციპების დაცვას. სკოლაში არსებული ყველა სველი წერტილი მოწესრიგებულია, გათვალისწინებულია სანიტარულ-ჰიგიენური წესები. უზრუნველყოფილია თხევადი საპნითა და ხელსაშრობით.

სკოლაში დასუფთავებითი სამუშაოები ტარდება სველი წესით გაღებული ფანჯრების პირობებში. სადეზინფექციო სამუშაოები ტარდება რეგულარულად, მათ შორის სველი წერტილებისა და საერთო სარგებლობის სივრცეების დამუშავება ხდება სპეციალურად მარკირებული ინვენტარით. სკოლის დასუფთავება ხდება ყოველი სამუშაო დღის ბოლოს. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის შემოწმებასა და მონიტორინგს ასრულებს სკოლის ექთანი.

სკოლას ჰყავს 3 დამლაგებელი, მათი ყოველდღიური ფუნქცია-მოვალეობების შესრულება უზრუნველყოფს ჰიგიენური გარემოს შენარჩუნებას. ადგილზე ვიზიტის დროს, სკოლის სრულ ტერიტოეიაზე იყო დაცული სისუფთავე და სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა დასუფტავებულ, უსაფრთხო გარემოში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლა პერსონალური მონაცემების დაცვას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით, მათ შორის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა შესაბამისი ნორმებით. სკოლამ დოკუმენტის სახით წარმოადგინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დავის ოფიცერი - რესურსცენტრი თანამშრომელი.

სკოლაში არსებული მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი, ასევე მისი მონიტორინგის მექანიზმები აღწერს სკოლის მიერ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას და აყალიბებს ძირითად პრინციპებს, რომელთა საშუალებითაც ხდება თანამშრომლებისა და მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვა.

სკოლაში არსებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის დოკუმენტი დეტალურად აღწერს და მკაფიოდ განსაზღვრავს მონაცემების დამუშავების მიზნებსა და ფორმებს. სკოლის ადმინისტრაციამ შეხვედრების გზით უზრუნველყო მონაცემთა დაცვის წესის გაცნობა სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისათვის.

სკოლაში პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება დაცულია. როგორც სკოლა, ისე განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფს, რომ არ მოხდეს მონაცემებზე არაუფლებრივი წვდომა ან მათი დაზიანება. მონაცემთა ბაზის ადმინისტრირება ხდება ისე, რომ ინფორმაცია მოსწავლეებსა და პერსონალს მიეწოდოს მხოლოდ ინდივიდუალურად, ავტორიზაციის საშუალებით.

ინფორმაცია სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შესახებ განთავსებულია პერსონალურ მონაცემთა სამსახურის ვებგვერდზე. თუმცა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის 33-ე მუხლის მე-8 ნაწილის მოთხოვნით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შესახებ ინფორმაცია არ არის განთავსებული სკოლის ვებგვერდზე. **სკოლას ეძლევა რჩევა: ინფორმაცია სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შესახებ დადოს სკოლის ვებგვერდზეც.**

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ გამოაგზავნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც სკოლას ამ რჩევის გათვალისწინების შესახებ უწერია „მეტწილობა“ და აღნიშნულია, რომ სკოლას ვებ გვერდზე უკვე განთავსებული აქვს

სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შესახებ ინფორმაცია. ვებ გვერდის გადამოწმებისას, შესაბამისი ინფორმაცია სკოლის ვებ გვერდზე ჯერ არ ფიქსირდება.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს თანამშრომელთა და მოსწავლეთა მონაცემთა შეგროვების, შენახვის, გადაცემისა და დაცვის პროცესს. სკოლაში დასაქმებული პირებისა და მოსწავლეების პირადი საქმეები ინახება უსაფრთხო, დაცულ ადგილას და მასზე წვდომა მხოლოდ უფლებამოსილ პირებს აქვთ.
სკოლის სოციალურ გვერდზე რეგულარულად ქვეყნდება მოსწავლეების ფოტოები და ვიდეომასალები, თუმცა ნებისმიერი მსგავსი ქმედება განხორციელებულია მშობლების თანხმობის საფუძველზე. პირადი მონაცემების, იქნება ეს ელექტრონული თუ მატერიალური ფორმით, მესამე პირთან გაზიარება წინასწარი შეთანხმების გარეშე არ ხდება და ხორციელდება მხოლოდ კონკრეტული თანამშრომლის ან მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობით. სკოლა ასე უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის ყველა კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილებას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

უსაფრთხოების უზრუნველყოფა ხდება შიდა სამართლებრივი აქტებზე დაყრდნობით, რომლებიც განსაზღვრავს როგორც ადამიანების, ისე სასწავლო პროცესების უსაფრთხოების მექანიზმებს. ამ პროცესებში ძალიან აქტიურად არის ჩართული მრჩეველთა საბჭო, რომლის სხდომებზე განიხილება უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვისთვის საჭირო საკითხები. ამ მიმართულებით, საბჭო პერიოდულად ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს. ასევე აქტიურად ადევნებს თვალს ამ რეკომენდაციების შესრულების პროცესს და მონიტორინგს უწევს მას.
ვიზიტის დროს სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა პერიოდულად იკვლევს ამ მიმართულებით სკოლაში არსებული საჭიროებების შესახებ ინფორმაციას, მაგალითად იღებს რეკომენდაციებს იმ მორიგე მასწავლებლებისგან, რომლებიც პერიოდულად აკვირდებიან სკოლაში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის პროცესებს, დარაჯებისგან, რომელბსაც ასევე აქვთ ყოველდღიური შეხება ამ მიმართულებით, და ასევე სხვა ჩართული მხარეებისგან, რაც

შემდეგ უკვე ხდება იმისი საფუძველი, რომ დაინერგოს სკოლის საჭიროებაზე მორგებული სტრატეგიები. **სკოლას ეძლევა რჩევა** იზრუნოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურების მიღებაზე.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ გამოაგზავნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც სკოლას განსაზღვრული აქვს რომ იზრუნებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურების მიღებაზე და შესრულების თარიღად მითითებული აქვს 15.06.2026

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ (მხოლოდ პირველ შენობაზე);
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნა (მხოლოდ პირველ შენობაზე);
- დამლაგებლების ხელშეკრულება;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან დადებული ხელშეკრულება;
- პერსონალურ მონაცემთა დაცის შესახებ დოკუმენტი;
- რეფერირების წესი;
- სანიტარულ-ჰიგიენური დაცვის წესი;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება და მათი საქმიანობის ამსახველი ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ - მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლა მდებარეობს დაბა თიანეთში, რუსთაველის ქუჩა N59, ს/კ 73.05.37.072 - 14557.00 კვ.მ მიწის ფართობზე. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლის შენობა, ნამდვილად არის შესაბამის საკუთრებაში. სკოლა შენობას ფლობს სარგებლობის უფლებით. სკოლის ტერიტორიაზე, არის შენობა N2 მოძველებული სამსართულიანი შენობა, რომლის მხოლოდ პირველ სართული გამოიყენება სკოლის ფუნქციონირებისთვის. კერძოდ, სააქტო დარბაზი და ბუფეტი, ასევე ინტეგრირებული პროფესიული პროგრამა. ხოლო მეორე და მესამე სართული უფუნქციოდ არის. ვიზიტის დროს აღნიშნულ შენობის პირველ სართულზე მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები და ბუფეტს დროებით შეჩერებული ჰქონდა ფუნქციონირება. აღსანიშნავია, რომ შენობის ამ ნაწილს პირველ სართულზე შესასვლელად აქვს შესაბამისი პანდუსი. ამავე შენობის მეორე მხარეს სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, რომელიც ასევე რეაბილიტირებულია და აღწურვილია შესაბამისი რესურსებით, საკალათბურთო ფარებით, ფეხბურთის, კალათბურთის ბურთებით და სხვა საჭირო ინვენტარით. სპორტულ დარბაზს არ აქვს პანდუსი და არ არის ადაპტირებული, სკოლამ წარმოდგინა შესაბამისი წერილი და ვიზიტის დროს განმარტა, რომ სპეციალისტებმა ადგილზე ვიზიტის დროს განიცხადეს, რომ ტექნიკურად შეუძლებელია სპორტულ დარბაზთან პანდსის მოწყობა. სკოლის ეზოს ტერიტორიაზევე არის საქვაბე. სკოლის ძირითადი, მთავარი შენობა N1, ორსართულიანია, რომელიც არის სრულად რეაბილიტირებული

„ათასწლეულის გამოწვევის ფონდის“ მიერ და ამ ეტაპზე სწორედ ამ შენობაში მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი. მასში საკლასო ოთახების რაოდენობა შეადგენს 12-ს.

შენობის პირველი სართული შემდეგნაირადაა მოწყობილი:

• ცენტრალური შესასვლელი და დერეფნები,
• კანცელარია,
• ტექნიკური პერსონალისთვის განკუთვნილი ოთახი
• საბუნებისმეტყველო ლაბორატორია სველი წერტილებით, დამხმარე ოთახით, გამწოვი სისტემითა და ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის სრული აღჭურვილობით, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსებით.
• კომპიუტერული ლაბორატორია 21 ქსელში ჩართული კომპიუტერით,
• ერთი აუთვისებელი ოთახი, რომელიც ამ ეტაპზე საწყობად გამოიყენება, რადგან საჭიროებს რემონტს.
• ბიბლიოთეკა,
• ვაჟებისა და გოგონების საპირფარეშოები
• ადაპტირებული სველი წერტილი,
• 3 საკლასო ოთახი,
• STEM ლაბორატორია
• სამედიცინო კაბინეტი,

მეორე სართულზე განლაგებულია:

• სამასწავლებლო,
•დირექტორის კაბინეტი
• პერსონალის (მამაკაცისა და ქალის) საპირფარეშოები
• ვაჟებისა და გოგონების საპირფარეშოები 3+3 სველი წერტილით,
• 9 საკლასო ოთახი.

სკოლა უზრუნველყოფილია გათბობის ცენტრალური სისტემით და საქვაბეც განთავსებულია კანონმდებლობითა და სტანდარტით გათვალისწინებული ნორმების დაცვით. თითოეულ საკლასო ოთახს აქვს საკმარისი ფართობი გადაადგილებისა და სხვადასხვა აქტივობისა თუ ღონისძიების განსახორციელებლად.

სკოლის ეზოში გაკეთებულია პოლიეთილენისა და ხის კონსტრუქცია - სათბური, რომელიც ამ ეტაპზე გაუქმებულია, თუმცა გამოიყენებოდა საგანმანათლებლო აქტივობებისთვის.
სკოლას ამ ეტაპზე აქვს 598 მერხი, აქედან 444 არის ძველი, ხოლო 145 ახალი, რომელიც ამ ეტაპზე დასაწყობებულია. სკოლას განაცხადი წარმოდგენილი აქვს 550 მოსწავლეზე (ორცვლიანი სწავლების პირობებით)
სკოლას აქვს ძალიან დაბალი ხარისხის ინტერნეტი, რომელიც მნიშვნელოვნად უშლის ხელს სწავლა-სწავლების პროცესს.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის, სკოლაში არსებობს სხვადასხვა სახის მატერიალური რესურსი. მათი ნაწილი საკლასო ოთახებშია გადანაწილებული, ნაწილი კი შესაბამის სივრცეებში. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის მერხებითა და მასწავლებლისთვის განკუთვნილი მაგიდითა და სკამით. საკლასო ოთახებში არის დაფა და სხვადასხვა რესურსი, რომელიც აქტიურად გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლას აქვს 6 პროექტორი, 7 პრინტერი, 21 ქსელში ჩართული კომპიუტერი, ასევე 40 ლეპტოპი. სკოლაში არსებობს ბიბლიოთეკით, ლაბორატორიებითა და კომპიუტერული ოთახით სარგებლობის წესი, სადაც აღწერილია შესაბამისი სივრცეებით სარგებლობის პროცედურები და გაწერილია, ვის და როგორ შეუძლია ისარგებლოს აღნიშნული რესურსებით. საერთო სარგებლობის სივრცეებით სარგებლობა შეუძლიათ სასკოლო საზოგადოების წევრებს.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც რეალურად ასრულებს სასწავლო პროცესის მხარდამჭერის ფუნქციას. ბიბლიოთეკით სარგებლობა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისა და სკოლის სხვა თანამშრომლებისთვის. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელიც წესების დაცვით აღრიცხავს წიგნების გაცემა-ჩაბარების პროცესს და ეხმარება ბიბლიოთეკით მოსარგებლე ადამიანებს კომპეტენციის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში არსებობს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სადაც დეტალურადაა აღწერილი ბიბლიოთეკასთან დაკავშირებული პროცედურები, რომლის გათვალისწინებაც მოუწევს მკითხველს.

სკოლის წიგნადი ფონდი მოიცავს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, კლასგარეშე ლიტერატურას, მხატვრულ ლიტერატურას, სამეცნიერო ლიტერატურას. ბიბლიოთეკარი აწარმოებს როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ აღრიცხვას, ბიბლიოთეკის შესასვლელში საჯაროდაა განთავსებული სარგებლობის წესები, სკოლის ბიბლიოთეკა სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მოსწავლეებს კი აძლევს საშუალებას თავისუფალი დრო საინტერესოდ გაატარონ. მიიღონ დამატებითი ცოდნა მათთვის საინტერესო საკითხებზე.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლა ცდილობს მაქსიმალურად შექმნას ინკლუზიური გარემო, მთავარი შენობის პირველ სართულზეა განთავსებული ლაბორატორიები, ექიმის ოთახი, ადაპტირებულია საპირფარეშოები. თუმცა სკოლას არ აქვს მეორე სართულზე ასასველი ლიფტი (ან სხვა საშუალება ეტლით მოსარგებლეებისთვის). ასევე, სკოლაში ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს რესურს ოთახი, რომელიც განთავსებული იყო ახლანდელ სტემ-ლაბორატორიაში და სკოლამ ვერ მოახერხა სხვა ოთახით ჩანაცვლება. მეორე შენობის სააქტო დარბაზსა და ბუფეტში შესასვლელი აღჭურვილია პანდუსით, თუმცა პანდუსი არ აქვს სპორტულ დარბაზს. სპეციალური რესურსები გამოკრულია საკლასო ოთახებში. გარდა ამისა, სპეც მასწავლებელი სსსმ მოსწავლეებისთვის შედგენილ რესურსებს იყენებს ინდივიდუალური მუშაობისთვის, რომელსაც ამ ეტაპზე სკოლის ბიბლიოთეკაში ახორციელებს - რესურს ოთახის მაგივრად.
ხარვეზი: სკოლას არ აქვს პანდუსი სპორტული დარბაზის შესასვლელთან, არ არის ლიფტი, არ არის რესურს ოთახი.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ გამოაგზავნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც სკოლას ამ ხარვეზის გამოსწორების შესახებ უწერია „მეტწილობა“. სკოლა აღნიშნავს, რომ მას, პანდუსის მოწყობის თაობაზე მიწერილი აქვს 2025 წლის 4 დეკემბერს N729227 წერილი, რომლის პასუხად თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიისგან მიღებული წერილით შესაბამისი თანხის მოძიების შემდეგ მოაგვარებს პრობლემას. (საქაღალდე 11) ამასთან ერთად, სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას აღნიშნა, რომ ლიფტის მოთხოვნით, გაიგზავნა წერილი შესაბამის სამსახურთან შესწავლისა და

შემდგომი რეაგირების მიზნით. (საქაღალდე 11). ამ აქტივობის შესრულების თარიღად სკოლას განსაზღვრული აქვს 2025-2026 სასწავლო წელი. რადგან აღნიშნული სასწავლო წლის დასრულების თარიღი არ სცილდება 12 თვიან პერიოდს, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ხარვეზის ეს ნაწილი მეტწილად დაკმაყოფილებულია

გარდა ამისა, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ფოტოსურათები, სადაც ჩანს, რომ რესურსოთახი უკვე განთავსდა დროებით გამოყოფილ სივრცეში. ამჟამად მიმდინარეობს მეორე კორპუსის პირველ სართულზე განლაგებული ოთახების სარემონტო სამუშაოები და 2025-2026 სასწავლო წლის მე-2 სემესტრიდან ერთ-ერთ ოთახში მოეწყობა რესურსოთახი. (საქაღალდე11). ამ აქტივობის შესრულების თარიღად სკოლას განსაზღვრული აქვს 2025-2026 სასწავლო წელი. რადგან აღნიშნული სასწავლო წლის დასრულების თარიღი არ სცილდება 12 თვიან პერიოდს, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ხარვეზის ეს ნაწილი მეტწილად დაკმაყოფილებულია

ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლა გამოირჩევა სასკოლო საზოგადოებასა და მოსწავლეებზე ორიენტირებული ფიზიკური გარემოთი. ბიბლიოთეკა, STEM ლაბორატორია, რომელიც ბოლო პერიოდში განსაკუთრებულ როლს ასრულებს სკოლის, როგორც სოციო-კულტურული სივრცის განვითარებაში. სწორედ ამ ლაბორატორიაში განხორციელდა მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტი ,,მომავლის საქართველო" რომელში სკოლამ განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია პროექტით „მომავლის თიანეთი". პროექტზე მუშაობდნენ მოსწავლეები სხვადასხვა საფეხურებიდან, მათი მასწავლებლები და მშობლები, შესაბამისად ეს სივრცე აქტიურად გამოიყენებოდა სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობისა და საერთო პროდუქტის შექმნისთვის. სკოლას ასევე აქვს განაშენიანებული სარეკრეაციო სივრცეები. ამ რესურსების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების საჭიროებების დაკმაყოფილებას როგორც საგანმანათლებლო, ისე სოციო-კულტურული მიმართულებით. აღნიშნული ტიპის აქტივობები აყალიბებს სკოლას, როგორც სასკოლო საზოგადოების მხარდამჭერ სივრცეს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი 73.05.37.072)
- ბიბლიოთეკის დებულება;
- კომპიუტერული ლაბორატორიის დებულება;
- საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის დებულება;
- ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლაში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრაცია საგრძნობლად ამაღლებს ადმინისტრაციული, სასწავლო და კომუნიკაციის პროცესების ეფექტიანობას. კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება განიხილება როგორც სსიპ - მირზა

გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლაში აქტიურად გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი, რაც მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აძლევს საშუალებას ყოველდრიურად ადევნონ თვალი თავიანთი შვილების აკადემიურ მოსწრებას. მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, როგორც კათედრების ფარგლებში, ისე მის გარეთ. უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებებს ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების ინტეგრირების კუთხით, რაც მნიშველოვნად ეხმარება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას. კომუნიკაციის გამარტივების მიზნით სკოლაში ფართოდ გამოიყენება სოციალური ქსელები როგორიცაა Facebook. Messenger და სხვა, მშობლებთან ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ სწორედ სოციალური ქსელების საშუალებით, ისინი მაქსიმალურად ოპერატიულად იღებენ ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი ღონისძიებების, აქტივობებისა თუ სხვადასხვა საჭირო საკითხების შესახებ. სასწავლო და ადმინისტრაციული მასალების ორგანიზებული შენახვა და გაზიარება ხორციელდება One Drive-ის სისტემის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოებასა და მუდმივ ხელმისაწვდომობას. სკოლა იყენებს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემებს Eflow და eschool, რომლითაც რეგისტრირდება შემოსული და გასული კორესპონდენცია, ასევე სკოლის შიდა ადმინისტრაციული დოკუმენტაცია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელშიც დადგენილია წესები, რომლის მიხედვითაც სკოლის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შეუძლიათ სარგებლობა. სკოლას ლაბორატორიაში აქვს 21 პერსონალური კომპიუტერი, რომელიც ჩართულია ქსელში და სასწავლო პროცესში ასევე იყენებს ლეფტოპებსაც. ინტერნეტის ხარისხი ხშირად არ არის საკმარისი იმისთვის, რომ სკოლამ განახორციელოს სასურველი აქტივობები.

კომპიუტერული ტექნიკა გადანაწილებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, საკლასო ოთახებში, ადმინისტრაციაში, ბიბლიოთეკასა და სამასწავლებლოში.

კომპიუტერული ლაბორატორია იმგვარადაა მოწყობილი, რომ ერთდროულად შეუძლია მოემსახუროს 21 მოსწავლეს. კომპიუტერული რესურსები საჭიროების შემთხვევაში, გარდა კომპიუტერული ლაბორატორიისა, გამოიყენება საკლასო ოთახებში გაკვეთილის მსვლელობისას. სკოლის ბალანსზე არსებული კომპიუტერები ასევე გამოიყენება სხვადასხვა კლუბური და პროექტული აქტივობების დროსაც. საგაკვეთილო დროის ამოწურვის შემდეგ, როგორც მოსწავლეებს და პედაგოგებს, ასევე სასკოლო საზოგადოების წევრებს, აქვთ შესაძლებლობა კვლავ ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით. გარდა ამისა,

პედაგოგები სკოლის კომპიუტერებს იყენებენ სამომავლოდ, საგანმანათლებლო რესურსების შექმნისა და მისი პრეზენტაციისთვის.
სკოლის საქმიანობაში აქტიურად იყენებენ ტექნოლოგიებს, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ინტერნეტის დაბალი სიხშირე ხშირად ქმნის პრობლემას, საგანმანათლებლო პროცესის ხარისხიანად წარმართვაში.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიის სარგებლობის წესი;
- სკოლის ვებ-გვერდი: https://skolebi.emis.ge/schools/1382?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%96%E1%83%90%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%93%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%20%E1%83%97%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%20%E2%84%961%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს „საქმისწარმოების წესი“. სკოლა სამართლებრივად სწორ ფორმატში აწარმოებს საქმისწარმოებას ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის – Eflow-ის მეშვეობით. სკოლაში მიღებულია და მოქმედებს

დოკუმენტბრუნვის ნომენკლატურა, რაც განსაზღვრავს საქმისწარმოების ორგანიზებისა და დოკუმენტების კლასიფიცირების წესს.
სკოლაში დასაქმებულია საქმისმწარმოებელი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. მას მინიჭებული აქვს ინდივიდუალური მომხმარებლის სახელი და პაროლი, რომლის მეშვეობითაც ახორციელებს დოკუმენტების რეგისტრაციასა და ადმინისტრირებას. საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს როგორც შემოსული და გასული დოკუმენტაციის ელექტრონულ აღრიცხვას, ასევე მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის, არქივის მართვის, დოკუმენტაციის დამოწმებული ასლების გაცემის, საჯარო ინფორმაციის მიწოდებისა და სხვა ადმინისტრაციული ღონისძიებების განხორციელებას.
სისტემაში რეგისტრირებული ბრძანებები იყოფა საკადრო და საერთო ბრძანებებად, ხოლო მათი რეგისტრაცია ხორციელდება ავტომატურად მინიჭებული თარიღისა და სარეგისტრაციო ნომრის მიხედვით. სკოლა ასევე ფლობს სარეგისტრაციო ჟურნალს, რომელშიც აღრიცხავს შესაბამის წერილებს, ბრძანებებსა და ხელშეკრულებებს.
აღნიშნული ჟურნალები დაორგანიზებულია კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად — დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის შიდა ელექტრონული სისტემების მთავარ კომპონენტებს Eflow და eSchool წარმოადგენს. სწორედ ამ სისტემების საშუალებით ხორციელდება ძირითადი პროცესები.
eSchool-ის ბაზა გამოიყენება მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის, მობილობის, პერსონალის, მშობლებისა და კანონიერი წარმომადგენლების მონაცემების რეგისტრაციისა და განახლებისთვის. სისტემაში ასახულია ასევე სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა, საკონტაქტო ინფორმაცია და პერსონალის შესახებ მონაცემები.
გარე საკომუნიკაციო საშუალებებიდან აქტიურად გამოიყენებალ Microsoft 365-ის ლიცენზირებულ აპლიკაციებს: Teams, Onedrive, Forms. სკოლა ასევე აქტიურად იყენებს Google-ის სერვისები, რაც ხელს უწყობს დოკუმენტების მართვასა და გაზიარებას, ხოლო ელექტრონული კომუნიკაციისათვის სკოლის ოფიციალური ელ. ფოსტა არის: tianeti1@mes.gov.ge პირველკლასელთა რეგისტრაცია ხორციელდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ვებგვერდის საშუალებით registration.emis.ge, რაც უზრუნველყოფს პროცესის ციფრულად, გამჭვირვალედ და საყოველთაო ხელმისაწვდომობის პრინციპით განხორციელებას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლის ელექტრონული მართვის სისტემაში ასახულია სავალდებულო ინფორმაცია: მოსწავლეთა და თანამშრომელთა პერსონალური მონაცემები, საგაკვეთილო ცხრილები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვა.

უსაფრთხოების მიზნით, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელია სპეციალურად დადგენილი პირი, არქივის მართვაზე – სკოლის საქმისმწარმოებელი, ხოლო პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგს აწარმოებს მონაცემთა დაცვისთვის სპეციალურად პასუხისმგებელი პირი. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სკოლაში ინფორმაციის გამჭვირვალე, კანონთან შესაბამის და დაცულ ადმინისტრირებას.

სკოლის ელექტრონული მართვის სისტემისა და შესაბამისი ბაზების მართვა და პროფილის ადმინისტრირება ხდება სკოლის საინფორმაციო მენეჯერის მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლის დირექტორი ყოველწლიურად, 10 დეკემბრისთვის, წარუდგენს საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ მონაცემებს საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს, აღნიშნული მონაცემები ასევე ქვეყნდება საკანონმდებლო მაცნეში.

ამავე პერიოდში, დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს, რომელიც მოიცავს წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასებასა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას. ეს ხელს უწყობს სკოლის მართვაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან და საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან შემოსულ წერილებზე, სკოლა დადგენილ ვადებში აბრუნებს პასუხს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის „საქმისწარმოების წესი“;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში;
- სკოლის დირექტორის წარდგენილი ანგარიში სამეურვეო საბჭოს წინაშე;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლების შრომითი ხელშეკრულებები;
- სკოლის სარეგისტრაციო ჟურნალები;
- Eflow, Eschool და ელექტრონული ჟურნალის პროგრამების ვიზუალური დათვალიერება;
- დირექტორის ყოველწლიური ანგარიში.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ოპერატიული, ეფექტური და გამჭვირვალე კომუნიკაციის გამოცდილება, რომელსაც ამ ეტაპზეც აქტიურად იყენებს. მასწავლებელთა ინფორმირება ხდება პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. ასევე, აქტიურად ტარდება სამუშაო შეხვედრები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, სკოლა სიახლეებს საჯაროდ აქვეყნებს სკოლის ფეისბუკ გვერდზე. ასევე განათავსებს სკოლის შენობაში, თვალსაჩინო ადგილას, რომ უზრუნველყოს მისი ხელმისაწვდომობა სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის. სკოლა აქტიურად იყენებს სხვა საკომინიკოციო არხებსაც, როგორიცაა, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელები, სატელეფონო ზარები და სხვა.

დამრიგებლები მშობლებთან ურთიერთობას აქტიურად ახორციელებენ მშობელთა კრებების მეშვეობით, ხოლო მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ მუდმივად ხდება ინფორმაციის მიწოდება. საჭიროების შემთხვევაში დამრიგებლები ინდივიდუალურად ხვდებიან მოსწავლის მშობელს.

სკოლას აქვს აქტიური ვებგვერდი, სადაც რეგულარულად აახლებს საჭირო ინფორმაციას. სასკოლო საზოგადოებას აქვს საშუალება გადაამოწმოს ცვლილებები შინაგანაწესთან, გასაჩივრების წესთან, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებთან და სხვა სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. სოციალურ ქსელებში აქტიურად ფუნქციონირებს დახურული ჯგუფები. სწორედ ეს ჯგუფები გამოიყენება ყოველდღიური ინფორმაციის გასაზიარებლად და მშობლებთან გასაუბრებითაც დადგინდა, რომ სკოლის მასწავლებლები აქტიურად აწვდიან მათ ინფორმაციას სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებით. ინფორმაცია სოციალურ ქსელში ქვეყნდება პერსონალურ მონაცემთა დაცვით. აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია მშობლებს მიეწოდებათ ელექტრონული ჟურნალის (eschool.ge) მეშვეობით.

საჭიროების შემთხვევაში სკოლის ადმინისტრაციასა და სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის კომუნიკაცია მიმდინარეობს სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც.

სკოლაში პერიოდულად ორგანიზდება და იმართება საინფორმაციო შეხვედრები სხვადასხვა საკითხებზე, ამის შესახებ გამოცდილება ინტერვიუს დროს მშობლებმაც გაგვიზიარეს. რაც შეეხება ვებგვერდს – სკოლას აქვს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ გამოყოფილი ციფრული სივრცე პლატფორმაზე skolebi.emis.ge, სადაც ასახულია ყველა სავალდებულო ინფორმაცია, რაც უზრუნველყოფს საჯაროობის პრინციპების სრულ დაცვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლაში განსაზღვრულია ვებგვერდის მართვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც არის ადმინისტრატორი და სწორედ მისი ფუნქციაა ახალი ინფორმაციის განთავსება. აღნიშნული პირი პასუხისმგებელია ვებგვერდის სრულყოფილად ფუნქციონირებასა და სიახლეების დროულად გამოქვეყნებაზე. ინფორმაციის გამოქვეყნება ვებგვერდზე და გაზიარება სოციალურ ქსელებში ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დადასტურებული და გადამოწმებულია შესაბამის, სანდო წყაროებთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სსიპ - მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლა სხვადასხვა არხით იღებს სასკოლო საზოგადოების წევრებისაგან უკუკავშირს. ეს უკუკავშირი ზოგ შემთხვევაში არის ზეპირსიტყვიერი,

უფრო ხშირად კი წერილობითი ხასიათის. გამოკითხვებს დახურულ ჯგუფებში ატარებენ და მიღებულ უკუკავშირს იყენებენ საკუტარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ოფიციალური ვებ გვერდი, რომელზეც გამოქვეყნებულია ყველა ის საჯარო ინფორმაცია, რომელიც დადგენილია კანონმდებლობით და გათვალისწინებულია შესაბამის სტანდარტში. ინფორმაცია გამოქვეყნებულია სახელმწიფო ენაზე.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სოციალური ქსელი გვერდი;

- სკოლის ვებ გვერდი;
- სოციალურ ქსელებში შექმნილი ჯგუფები;
- მასწავლებლებთან და მშობლებთან ინტერვიუები;
- სკოლის ვებ-გვერდი: https://skolebi.emis.ge/schools/1382?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%96%E1%83%90%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%93%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%20%E1%83%97%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%20%E2%84%961%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სსიპ - მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის ფინანსების დაგეგმვა და განკარგვა ხდება კანონის შესაბამისად. სკოლის შემოსავლების ძირითადი წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ვაუჩერული დაფინანსება. ბიუჯეტი ძირითადად იხარჯება სკოლის პერსონალის შრომითი ანაზღაურების დაფინანსებისთვის, კომუნალური ხარჯების დასაფარად, საკანცელარიო ნივთების შესაძენად, ასევე საოფისე ავეჯის შესაძენად.

სკოლის სამოქმედო გეგმის შედგენისას სკოლას გათვალისწინებული აქვს მის ბიუჯეტში არსებული ფინანსური რესურსი და უზრუნველყოფილია მისი ეფექტური განხორციელება.

აღანიშნავია, რომ რადგანაც სკოლა მდებარეობს მაღალმთიან რეგიონში, ზამთარში განსაკუთრებით დიდია კომუნალური გადასახადები.

სკოლაში თანხების განკარგვის საკითხს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. საჭიროების შემთხვევაში სკოლა სწორედ სამეურვეო საბჭოს მიმართავს ბიუჯეტის კორექტირებისთვის. სკოლა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში სასკოლო საზოგადოების ნაწილის ჩართულობასაც უზრუნველყოფს. ყოველი მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტი მზადდება და მტკიცდება მიმდინარე წლის დეკემბერში. ბიუჯეტის დაგეგმვისას სკოლა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებასა და წლის პრიორიტეტულ მიმართულებებს. ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ფინანსური საქმიანობის ანგარიშს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლაში ბიუჯეტის დაგეგმვა, დამტკიცება და მართვა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, რომლის საშუალებითაც დადგინდა, რომ ბიუჯეტის დამტკიცების პროცესი გამჭვირვალეა და მის შედგენაში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ბიუჯეტის პროექტს სკოლის დირექტორის მონაწილეობით. ამზადებს სკოლის ბუღალტერი. სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად ხორციელდება ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები. სკოლის მიმართვის საფუძველზე, სამეურვეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის კორექტირებასთან დაკავშირებით. 10 დეკემბრის ანგარიშის სახით დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს დეტალურ ანგარიშს.

სკოლა ყოველ წელს ატარებს ინვენტარიზაციას, რომლის საშუალებითაც აღრიცხავს სკოლის ბალანსზე არსებულ მატერიალურ რესურსს, ინვენტარიზაცია მონიტორინგის ერთ-ერთი ფორმაა, რომლის საშუალებითაც სკოლა აანალიზებს მის ხარჯებსა და საჭიროებებს.
სკოლამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა ფინანსური დოკუმენტები, მათ შორის ინვენტარიზაციის დოკუმენტიც, რომლიტაც დასტურდება, რომ სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლას აქვს ფინანსური რესურსის მართვის სისტემა.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინვენტარიზაციის დოკუმენტი;
- დირექტორის ყოველწლიური ანგარიში;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- შესყიდვების გეგმის დამტკიცების ბრძანება;
- მიღება-ჩაბარების აქტები;
- გასაუბრება სკოლის ბუღალტერთან.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლა მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას უზრუნვეყოფს სკოლის მიერ დამტკიცებული მოსწავლის, პერსონალის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი (20.12.2023, N1/კ/41). გარდა ამისა, სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს მოსწავლეთა/პროფესიულ სტუდენტთა სკოლაში ჩაცმულობის, წახალისების, დისციპლინური გადაცდომის წესებს და მათი გადაცდომის შემთხვევაში რეაგირების ფორმებს.

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას ემსახურება სკოლაში შემუშავებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. ბავშვთა ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, ასევე განსაზღვრავს საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაში სკოლის მონაწილეობის წესს. დირექტორის ბრძანებით განსაზღრულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. სკოლას ჰყავს ექთანი, მანდატური, სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. ყველა ეს პირი/სტრუქტურული ერთეული მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის გარანტორები არიან

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის მიერ წარმოდეგნილის მოსწავლის უფლებების დამცავი სასკოლო რეგულაციები, გამჭირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სადამრიგებლო პროგრამის გაცნობის შედეგად დასტურდება რომ ამ პროგრამის განხორციელების მიზანს წარმოადგენს მოსწავლეების უფლება-მოვალეობების გაცნობა გააზრება, რაც ხელს შეუწყობს საკუთარი და სხვისი უფლება-მოვალეობების გაცნობასა დაცვას.სასკოლო სასწავლო გეგმის ერთ-ერთი თავია მოსწავლეთა უფლებების დაცვა სასწავლო პროცესში.მისი მიზანია „ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით აღიარებული მოსწავლეთა უფლებების და თავისუფლების აღიარება. რაც ასევე დასტურდება სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში გაწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები,ცალკეა გაფორმებული ხელშეკრულება სახელმძრვანელოებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით,სადაც ასევე გაწერილია მოსწავლის,მშობლის და სკოლის უფლება-მოვალეობები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწავლის, პერსონალის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი;
- რეფერირების წესი;

- მოსწავლეთა ინიციატივების წახალისების წესი;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული „მოსწავლის ჩარიცხვის, მოსწავლის სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენისა და მობილობის წესი“, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. კერძოდ, ჩარიცხვა და სტატუსი შეჩერება - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესთან; მობილობა - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებასთან, კლასის/საფეხურის დაძლევა - ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებასთან. საფეხურის დაძლევის შესახებ სკოლას ჩაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული რამოდენიმე ბრძანება მოსწავლის სკოლიდან ამორიცხვის,ჩარიცხვის,სტატუსის შეჩერების შესახებ,წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისას დასტურდება სკოლა იცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.კერძოდ მოსწავლეთა პირად საქმეებშიკანონმდებლობის შესაბამისად აღრიცხულია მოსწავლის შესაბამისი პროცედურა(ჩარიცხვა,ამორიცხვა,სტატუსის შეჩერება).

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წელს განხორციელებული საბუნებისმეტყველო მეცნიერებების წრის დებულება, მოსწავლეებში ბუნებისადმი ინტერესის გაღვივება; კვლევის, მსჯელობის უნარების განვითარება; შემოქმედებითი და თანამშრომლობითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში მოქმედებს სამოქალაქო განათლების კლუბი და სკოლის თვითმართველობის ინიციატივით იგეგმება არტ-კლუბის ჩამოყალიბება; ამასთან ერთად, სკოლის მოსწავლეები სტემ-კლუბის სახელით, მონაწილეობდნენ პროექტში „მომავლის საქართველო“, რომლის ფარგლებში მოსწავლეებმა შექმნეს მაკეტი - მომავლის თიანეთი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო აღმოჩნდა კონკურსში, რის გამოც სკოლა დააჯილდოვეს ფულადი პრემიით. თითოეულ კლუბსა და წრეში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. ამასთან განსაზღვრულია მიზნები, წევრობის პირობები და სხვა ორგანიზაციული საკითხები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა პროგრამების, მომსახურეობების და სხვადასხვა სერვისების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს ვებ გვერდის ან/და სოციალური ქსელის ან/და სკოლის საინფორმაციო დაფის, ან/და პერსონალის მეშვეობით. გავრცელებული ინფორმაცია არ არღვევს კანონმდებლობას, არ არის დისკრიმინაციული, გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია ყველასთვის. ინფორმაცია არის განახლებადი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, მოსწავლის სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენისა და მობილობის წესი;
- მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, აღდგენის, კლასისა და საფეხურის დაძლევის ბრძანებები;
- საბუნებისმეტყველო წრის დებულება;
- წრის წესდება;
- თვითმართველობის სხდომის ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“ რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ადაპტაციას პირველკლასელთა და მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა შემთხვევაში. ამ დოკუმენტის მე-3 მუხლი განსაზღვრავს იმ ფაქტორებსა და პრინციპებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს მოსწავლეთა მობილობისას ან პირველკლასელთათვის. კერძოდ, გასათვალისწინებელია მოსწავლის ინდივიდუალური ხასიათი, და-ძმის გამოცდილება, დამრიგებლის, ფსიქოლოგის და მშობლის როლი და მოსწავლეთა შესაძლებლობები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა,რომ სკოლა მაქსიმალურად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესს იმ მექანიზმების გამოყენებით, რომელიც მითითებულია სკოლის მიერ წარმოდგენილ „მოსწავლეთა ადაპტაციის წესში“. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოსწავლის სკოლაში ადაპტაციის მნიშვნელოვანი ნაწილი კლასის დამრიგებლის მიერ ხორციელდება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

მოსწავლის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას ემსახურება სკოლის მიერ დამტკიცებული რემედიაციის წესი. გარდა ამისა, სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმაში 10.2 თავში გაწერილია, რომ საშემოდგომო გამოცდის დანიშვნის შემთხვევაში მოსწავლეს კონსულტაცია ენიშნება საჭირო დროით. 10.3 თავში ასევე განსაზღვრულია ექსტერნის ფორმით გამოცდის ჩატარების პირობები, სადაც ასევე აღნიშნულია კონსულტაციის შესახებ. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილი სსსმ მოსწავლის შინ სწავლების პროცედურაც ითვალისწინებს კონსულტაციებს მოსწავლესა და მის მშობელთან. ამასთან ერთად, მოსწავლის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას ემსახურება შემაჯამებელი დავალებისა და დიაგნოსტიკური წერების ჩატარების შემდგომ ან/და ყოველთვის სწავლებისას, მოსწავლეზე მიცემული განმავითარებელი შეფასებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

როგორც მოსწავლეებთან, ასევე მშობლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა დროულად აწვდის ინფორმაციას, სკოლაში დაგეგმილი ნებისმიერ პროცესის/ღონისძიების შესახებ. კანონმდებლობით დადგენილი განათლების შეუზღუდავად მიღების უფლების მხარდეჭერისა და რეალიზებისთვის სკოლა მოსწავლეებს უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. მაგალითად, სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შინ სწავლების პროცედურები და სკოლის მხრიდან გასატარებელი ღონისძიებები იმ ტიპის მოსწავლეებისთვის, რომლებიც ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაციის გამო ვერ ახერხებენ სკოლაში გამოცხადებას; მოსწავლეთა უფლებების რეალიზაციას უკავშირდება ასევე ასაკობრივი ექსტერნის გამოცდები, რომლის ჩატარების პრაქტიკა და მზაობა არის სკოლაში. ასევე, აღსანიშნავია ადმინისტრაციული მხარდაჭერა მოსწავლეთა ისეთი უფლებების გასახორციელებლად, როგორიცაა კლუბების შექმნა - სკოლაში შექმნილია სამოქალაქო განათლების და სტემ კლუბი. მოსწავლეთა თვითმართველობა გეგმავ ახალი - არტ კლუბის დაარსებას. სკოლის განცხადებით, ადმინისტრაცია და არსებული ადამიანური რესურსი მუდმივად ღიაა მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება. მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული სასკოლო პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლაში მოქმედებს 2-3 კლუბი და წრე, რომელთა ხელმძღვანელები სათანადო კვალიფიკაციის პერსონალია. გარდა ამისა, სკოლაში ხორციელდება პროფესიული პროგრამა - კომპიუტერული ქსელი და პროგრამები, რომელსაც შესაბამისი პროფესიული განათლები სპეციალისტები ახორციელებენ სკოლის მასწავლებლებთან ერთად. ყველა შემთხვევაში აქტივობები ხორციელდება კვალიფიციური კადრის მეშვეობით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლას აქვს აქტიური კომუნიკაცია მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. მიმდინარე წელს მოსწავლეთა თვითმმართველობის უკუკავშირის საფუძველზე იგეგმება შექმნან არტ-კლუბი. ასევე აღნიშვნის ღირსია სკოლაში მოქმედი ინტეგრირებული პროფესიული პროგრამა (იხ 4.2.2.1. ინდიკატორის აღწერა), რომელიც მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვით მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად შეირჩა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თვითმართველობის სხდომის ოქმი არტ-კლუბის შექმნის შესახებ;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- რემედიაციის პროგრამა;
- მოსწავლის ადაპტაციის წესი;
- დანერგილი ინტეგრირებული პროფესიული პროგრამა - „კომპიუტერული ქსელი და პროგრამები“.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და საბაზო და საშუალო საფეხურის სადამრიგებლო პროგრამის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ საბაზო და საშუალო საფეხურზე სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში სკოლა და კონკრეტული დამრიგებელი სადამრიგებლო კლასში ახორციელებს აქტივობას - კლასის საათი თემაზე „ჩემი მომავალი პროფესია“. ამ აქტივობის ფარგლებში ხდება ინტერესის სფეროს გამოვლენის მიზნით გამოკითხვები და შედეგების გათვალისწინებით მომავალი აქტივობების დადგენა. გამოვლენი პროფესიების შესახებ მეტი ინფორმირებულობისთვის. 2025-2026 სასწავლო წლიდან სკოლაში დაიწყო პროფესიული პროგრამის განხორციელება - კომპიუტერული ქსელების მიმართულებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში სკოლა აწყობს ექსკურსიებს ადგილობრივ ჩირის დამამზადებელ მინი საწარმოში, წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში - საგურამოში და თიანეთის ფილიალში; კოკა-კოლას ქარხანაში; გორისა და მცხეთის სამხედრო ბაზაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადინდა, რომ სკოლა თვითმმართმმართველობის ფარგლებში ატარებს გამოკითხვებს რის საფუძველზეც დგინდება მოსწავლეთა ინტერესები და ამ ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება პროექტები. გასულ სასწავლო წლის ბოლოს, იმისთვის, რომ სკოლაში ინტეგრირებული პროფესიული პროგრამისთვის სპეციალობა შეერჩიათ, გამოიკითხა X კლასის მშობლები და მოსწავლეები, რის შედეგადაც შეირჩა სპეციალობა - „კომპიუტერული ქსელები და პროგრამები, რაც დაინერგა მიმდინარე სასწავლო წლიდან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო საათი;
- დანერგილი ინტეგრირებული პროფესიული პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და პროგრამები“;
- ექსკურსიების ამსახველი მასალა.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული „სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმების“ ამსახველი დოკუმენტი, რომლის მიზანია უზრუნველყოს თანაბრად ხელმისაწვდომი გარემოს შექმნა, სადაც ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ხარისხიანი განათლების მიღებით. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი საჭიროების გამოვლენის და მასზე დროული რეაგირების მექანიზმები, ისგ ჯგუფის ფორმირების და ინდივიდუალური გეგმის შექმნის, განხორციელების და რეაგირების პროცედურები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოადგენილი „სსსმ მოსწავლესთან მუშაობის ამსახველი მექანიზმების“ დოკუმენტის მიხედვით სკოლა სსსმ მოსწავლის სწავლებისთვის ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს: მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე, ისგ ჯგუფთან ერთად, ქმნის და ახორციელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმას. ისგ ჯგუფი შედგება მოსწავლის დამრიგებლის, საგნის მასწავლებლების, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის, სსსმ მოსწავლის კანონიერი წარმოადგენლისგან. ისგ ჯგუფის თითოეული წევრის აქტიური თანამშრომლობის საფუძველზე იქმნება ისეთი ინდ გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი (21.10.2025, N1/კ-43), რომელთა მიერ განხორციელებული მონიტორინგიდან მიღებული ინფორმაციის გაანალიზება ასევე, ემსახურება სსსმ მოსწავლის განვითარებას და წინსვლას

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
- ისგ ჯგუფის ოქმები;
- ინდგეგმები;
- შიდა მონიტორინგის დასკვნა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლას შენობის პირველ სართულზე მდებარე 11,96 კვ.მ ფართი დროებით სარგებლობაში, იჯარის ფორმით გადაეცა ინდ მეწარმეს, ბუფეტის ფუნქციონირების მიზნით. სკოლის მიერ წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 18 დეკემბერს. სკოლას მოპოვებული აქვს ნებართვები განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსა (MES 0 24 0001230841, 30.09.2024) და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს რეგიონული სამსახურისგან (KA021737500881624, 02.10.2024). მეიჯარე რეგისტრირებულია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში, წარმოდგენილ იქნა შესაბამისი საქმიანობის დამადასტურებელი ამონაწერი. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ N1601881 24/11/2023წ. <u>ბრძანების დანართის 1-ლი და მე-7 მუხლის მოთხოვნათა სრულად შესაბამისობისთვის ბუფეტის მეპატრონემ უნდა მიმართოს სურსათის ეროვნულ სააგენტოს ინსპექტირების მიზნით. ხოლო სკოლამ კვების ობიექტის</u>

საქმიანობის მონიტორინგის მიზნით უნდა შექმნას მონიტორინგის ჯგუფი და პერიოდულად განახორციელოს ბუფეტის საქმიანობის კონტროლი. ხარვეზი: ბუფეტი შემოწმებული უნდა იყოს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ და არ არის შემოწმებული, ხოლო სკოლას შექმნილი უნდა ჰქონდეს მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ვიზიტის პერიოდისთვის არ იყო შექმნილი.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ გამოაგზავნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც სკოლას უწერია ამ ხარვეზის გამოსწორების შესახებ „მეტწილობა“ და ხარვეზის გამოსწორების ვადად მითითებულია 3.12.2025-26.12.2025 პერიოდი, ხოლო გამოსწორების მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს „საქაღალდე 4“. გადმოგზავნილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სკოლამ შეწყვიტა მეიჯარესთან გაფორმებული ხელშეკრულება საიჯარო ფართში მიმდინარე საამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო (ბრძანება N 1/კ-47, 01.12.2025), რის გამოც ინდიკატორის მოთხოვნები დარღვეულად ვერ ჩაითვლება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

სკოლის მიერ შეთავაზებული არასავალდებული ხასიათის მომსახურება წრეები და კლუბები ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპის დაცვით, რაც დასტურდება თითოეულ მომსხურების გაწევის წესდებით და შესაბამისი დებულებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

სკოლის მიერ მოსწავლეთათვის შეთავაზებული დამატებითი მომსახურეობები ხორციელდება უსაფრთო გარემოში და დაცულია მოსწავლის საუკეთესო ინტერესები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბუფეტის იჯარის ხელშეკრულება;
- ნებართვის წერილი განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსა და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს რეგიონული სამსახურისგან.
- სამეურვეო საბჭოს ოქმი - თანხმობა იჯარაზე;
- იჯარის ხელშეკრულება ბუფეტის ფართის თაობაზე;
- სკოლის წერილები რესურსცენტრთან;
- ამონაწერი ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან;
- ბუფეტის მონიტორინგის ჯგუფის ბრძანება

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი
14.01.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: